# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 1 ივნისი 2002 №99 (1621) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# GOA-LA-LA!

## საფრანგეთმა სირცხვილი გამოზარდა

# 0:1



REUTERS სეულიდან



REUTERS სეულიდან




REUTERS სეულიდან

მატჩის წინ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი როჟე ლემერი თავის გუნდს 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის თამაშს ახსენებდა. მაშინ კამერუნელებმა ერთი მოხდენილი თავურით დაამარცხეს მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინელები. ისე აგიხდეთ ყოველივე კარგი, ზინედინ ზიდანის გარეშე დარჩენილ ფრანგთა მწვრთნელს რომ ავი წინათგრძნობა აუხდა. საფრანგეთში დაფრთიანებულმა და ფრანგი მწვრთნელის, ბრუნო მეტიუს მიერ ნავარჯიშევმა სენეგალელებმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს გვარიანი სირცხვილი აჭამეს. ფაბიენ ბარტეზის კარში გატანილი ეს გოლი მატჩში ერთადერთი და სენეგალელთა ისტორიული გამარჯვებისა გამოდგა.

ემზარ ზენაიშვილის რეპორტაჟი სეულიდან იხილეთ მეორე გვერდზე

# მონანიება

## იაპონიამ ძველი ცოდვები 12 მილიარდად გამოისყიდა

ემზარ ზენაიშვილი
საგანგებოდ „სარბიელისთვის“
სეულიდან



**კორეა-იაპონია** ჩემთვის მესამე მსოფლიოს ჩემპიონატია, მესამე კონტინენტი, მესამეჯერ ვწერ „სარბიელის“ მკითხველისთვის. დღეს სამჯერ უფრო მეძნელება წერა, რამეთუ ძნელია, უთხრა მკითხველს რაიმე ახალი განსაკუთრებულად აგრესიული ინფორმაციული შეტევის ეპოქაში.

რატომ წაველი კორეაში და არა იაპონიაში? რთული არჩევნის წინაშე ვიდექი და გეზი მაინც სეულისკენ ავიღე. სუბიექტური მოსაზრებით — კორეაში ნამყოფი არ გახლდით. სხვა მიზეზიც მქონდა. დღემდე ალტაცებით იხსენებენ სეულის ოლიმპიადას, ბრწყინვალე ორგანიზებით და იქაურთა სტუმართმოყვარეობით საუკეთესო თამაშებად რომ მიიჩნევენ. უამრავ ქართველ და უცხოელ სპორტსმენს უთქვამს ამის თაობაზე და მეც მინდა ვნახო — რით ალაფრთოვანეს კორეელებმა დანარჩენი მსოფლიო.

ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონატის პირველი დღის ორგანიზაციის, მოწესრიგებულობის, პედანტური პასუხისმგებლობის, ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალის სილამაზის და გამომგონებლობის გამო უნდა გავიზიარო მაქებართა პოზიცია.

ამ ორ ქვეყანაში განაწილებული გუნდების კლასზე კი, ვფიქრობ, არცთუ ისეთი დიდი უპირატესობა აქვთ იაპონიაში მოხვედრილებს, როგორც ზოგიერთს წარმოედგინა. „ამომავალი მზის“ ქვეყნისკენ სპეციალისტთა, ჟურნალისტთა და ფანთა მიძალება ნაწილობრივ, ალბათ, თვით იაპონიის ფენომენითაცაა განპირობებული.

ისე, მსოფლიო საფეხბურთო მოდას, სტრატეგიულ მიმართულებებს, როგორც წესი, მსოფლიოს ჩემპიონები განსაზღვრავენ. ჰოდა, ბოლო ორი მსოფლიოს ჩემპიონი სწორედ კორეაში თამაშობს.

სეულში აკრედიტებულ ჟურნალისტთა წრეში ჯერჯერობით წმინდა საფეხბურთო თემაზე აქტუალური ფიფას კონგრესის შედეგებია. ბევრი მათგანი შემდგარ არჩევანს მართებულად მიიჩნევს. არგუმენტებიც იგივეა, რაც ამ ერთი კვირის წინ კუალა-ლუმპურში სპორტის და ფეხბურთის სამყაროში ავტორიტეტულმა პიროვნებამ, ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და სოკ-ის წევრმა ივან სლავკოვმა მითხრა — ემზარ, არ დაიჯერო, ბლატერს რაიმე საფრთხე ემუქრებოდეს. მას არც ალტერნატივა აქვს და არც სანერვიულოო. სლავკოვი ფიფას სამზარეულოში კარგად ჩახედული კაცია და როგორც არჩევნების შედეგებმა აჩვენა, იცოდა, რასაც ამბობდა.

მაგრამ ასეთი ანგარიშით გამარჯვებას მაინც არავინ ელოდა. თავად ყველაფრისმცოდნე „შპიგელიც“ კი უხეშად შეცდა თავის პროგნოზში. ის კი არა, ჟურნალმა ბლატერის მოწინააღმდეგეთა სიაში კინაღამ ვიაჩესლავ კოლოსკოვიც ჩაწერა. არადა, რუსეთის ფეხბურთის შეუცვლელი თავკაცი თავად იყო გარეული „ბლატერის სკანდალში“.

აქ ხაზს უსვამენ იმ ფაქტსაც, რომ ორ ქვეყანაში გადანაწილებული მსოფლიოს ჩემპიონატი არა მხოლოდ სპორტული მნიშვნელობით იქნება განსაკუთრებული. გახსნის მატჩზე სეულს იაპონიის პრინცი ტაკამატო ეწვია მეუღლესთან ერთად. ეს პირველი შემთხვევაა, როცა სამხრეთ კორეას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერატორის ოჯახის წევრები სტუმრობენ. ამიტომაც ითქვა, ფეხბურთმა პოლიტიკაშიც იმარჯვაო.

კორეელებს არ დავიწყებიათ წინა საუკუნის შუახანებში რა როლი შეასრულა იაპონიამ ამ ქვეყნის — მისი კოლონიის ცხოვრებაში. ისიც კარგად ახსოვთ, დამპყრობელს კორეელი გოგონების მთელი არმია „სექსუალურ მონებად“ რომ ჰყავდა. ჰოდა, თითქოს აღრინდელ ცოდვებს ინანიებენო, იაპონელებმა თითქმის 12 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ჩადეს კორეის ეკონომიკაში, მათ შორის სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ჩემდა გასაკვირად, გუშინ სეულში უფრო ლონდონური ამინდი გახლდათ — ბურუსით, წვიმის ზღვარზე, თუმცა თამაშისთვის ზედგამოჭრილი იყო.

სტადიონზე თავშეყრა ხალხმა უკვე შუადღით დაიწყო. თვალში გეცემოდათ წესრიგის დამცველთა სიჭარბე. მაგრამ ის „სიჭრელე“, კოლორიტი, მრავალ ენაზე მოსაუბრეთა ჯგუფების სიმრავლე, ჩაცმულობის ნაირგვარობა, მუსიკალური კაკაფონია, ამ ოთხიოდე წლის წინ პარიზში რომ შენიშნავდით, არსად იყო. ვერც იმას იტყოდით, სტადიონი პირთამდეა სავსეო, პრესლოჟაშიც სიხალვათე იგრძნობოდა.

თავად მატჩზე კი რა გითხრათ, შეგეძლოთ, ორჯერ გეხილათ ტელევიზიით. ისე, ნეიტრალური, „მოსეირე“ გულშემატკივრისთვის საცქერლად საამო იყო, შედეგი კი ფრანგებისთვის სავალალო და მოულოდნელი.

არადა, უკლებლივ ფრანგულ კლუბებში მოთამაშე სენეგალელებმა ტოლი არ დაუდეს მსოფლიოს ჩემპიონებს. სწორი ტაქტიკა ამოირჩიეს და ჩვენ გადაწყობა ვეღარ მოვახერხეთო — თქვა ფრანგთა მწვრთნელმა როჟე ლემერმა მატჩის შემდეგ.

სუსტად ითამაშა ფრანგთა დაცვამ და ნახევარდაცვამ. როგორც ჩანს, ზინედინ ზიდანი მთელი გუნდი თუ არა, ნახევარი მაინცაა. ერთი კი ფაქტია, იური ჯორკაეფმა ვერ შეძლო ზიდანის შეცვლა. პრესლოჟაში ყველანი დარწმუნებული ვიყავით, ლემერი მეორე ტაიმში ჯორკაეფს მოედანზე აღარ გაიყვანდა. მისი გამოჩენით გაოცება რომ გამოვხატეთ, ფრანგმა კოლეგამ სინანულით თქვა, აბა, რა ექნა, ზიზუს შემცვლელი სად არისო...


ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა და იაპონიის პრემიერ-მინისტრმა მსოფლიოს ჩემპიონატს გზა დაულოცეს



REUTERS



REUTERS



REUTERS



REUTERS

# კორეა-იაპონია 2002
## A ჯგუფი. I ტური

# №1 საფრანგეთი 0:1 სენეგალი

31 მაისი. სეული (კორეა). 16.30 „სეულ უორლდ ქაფ სთედიუმ". 62 561 მაყურებელი

0:1 პ.ბ. დიოპი (30)




შეცვლა: ჯორკაეფი – 21. დიუგარი (60), ვილტორდი – 9. ჯ. სისე (80)

გაფრთხილება: პეტი (45), ა. სისე (51)

მსაჯები: ალი ბუჯსაიმი (საამიროები); ალი ალ-ტრაიფი (საუდეთი), ხორხე რატალინო (არგენტინა)

| | | |
|---|---|---|
| 18 | ჯარიმა | 22 |
| 10 | კუთხური | 0 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 9 | კარში დარტყმა | 5 |
| 2 | თამაშგარე | 11 |

# დაჰკარ, დაკარ!



სენეგალელთა მეკარემ ტონი სილვამ ბურთი დაამიწა

REUTERS

**ბაჩუნა კედია**

**ესეც** საფეხბურთო პარიზი — დაკარი! ადგნენ დაკარელები და პარიზელებს დაჰკრეს! სენეგალელთა ფრანგმა მწვრთნელმა ბრუნო მეტიუმ, რომელიც ნალოლიავები გრძელი თმით იან გილანს ჩამოჰგავს, ყველაფერი სწორად გათვალა. ფრანგებიც ცამდე მართლები გამოდგნენ — ისინი ხომ ამბობდნენ, სენეგალის ნაკრებს აფრიკულ გუნდებს შორის დაგეგმილის შესრულება ყველაზე კარგად ეხერხებაო — ის, რაც „სეულ უორლდ ქაფ სთედიუმზე" მოხდა, სწორედ რომ კარგად შედგენილი გეგმის ზედმიწევნით და დიდი მონდომებით შესრულება იყო.

თამაშის სურათი იმთავითვე გამოიკვეთა და ბოლომდე არ შეცვლილა: ფრანგები შეტევას ანუ შემოქმედებითი ფეხბურთის თამაშს ცდილობდნენ, სენეგალელები კი საკუთარ ნახევარზე გამაგრდნენ, ვინ ვის უნდა ადევნებოდა და ვის ვინ უნდა დაეზღვია, ზუსტად გაიაზრეს, გოლის გატანა კი კონტრშეტევისა და უსწრაფესი ელ-ჰაჯი დიუფის მანევრებს მიანდეს. თითოეულ ფრანგს, რომელიც გაბედავდა და ცენტრს გადასცდებოდა, აფრიკელის მჭიდრო მარწუხი ხვდებოდა და ამან გაამართლა. მითი უზიდანო საფრანგეთის უძლეველობისა და უშრეტი ფანტაზიის შესახებ დაიმსხვრა, ხოლო მიზეზების ძებნას, მომქანცველ სეზონზე, ტრავმებისა და ფიზიოთერაპიისთვის გამოყოფილ მცირე დროზე ლაპარაკს აქ ნუ მოვყვებით.

20 წუთი დასჭირდათ მსოფლიოს ჩემპიონებს იმის მისახვედრად, რომ ბურთის აკადემიური, დაბალი გათამაშებით მოწინააღმდეგის საჯარიმოს ვერ მიუახლოვდებოდნენ. და როგორ გახსოვთ, ვინ იყო ის კაცი, პირველმა რომ სცადა გრძელი პასით სიკეთისთვის ხელის გამოკვრა? ეს ლურჯების შუშპარა და მჩქეფარე მეკარე ფაბიენ ბარტეზი გახლდათ, რომელმაც ამ პასით თამაში გამოაცოცხლა — ორ წუთში დავიდ ტრეზეგემ დაჰკრა კიდეც ბურთი ძელს. მაგრამ ბარტეზის წამოწყებას თანაგუნდელთაგან დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია, ისინი, ვისაც თამაშის ხასიათის შეცვლა ევალებოდათ, იმტაზე ვერ ბრძანდებოდნენ: ემანუელ პეტი ძალიან უკან იყო გამწესებული, იური ჯორკაეფი კი, უკაცრავად და, თავისიანებისა თუ მეტოქეების ფეხებში უშნოდ დახლაფორთობდა. მარჯვნიდან საქმეს ვერც ინერტული სილვენ ვილტორდი აუდიოდა და ვერც პატრიკ ვიეირა ბრძოლვინავდა მთლად ლომივით.

ასე იყო თუ ისე, ფრანგებმა საქმე ვერ ააწყვეს და 30-ე წუთზე დაისაჯნენ: ერთ-ერთი მორიგი კონტრშეტევისას მოუსვენარმა ელ-ჰაჯი დიუფმა მარცხენა ფრთაზე ფრანკ ლებეფის მოტყუებით დაიწყო, მერე კი ყველაფერი ბუბა დიოპის გოლით დასრულდა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სენეგალელთა ეს კონტრშეტევა იმიტომ დაიწყო, რომ ჯორკაეფმა ბურთი მოედნის შუაში დაკარგა. ბუბა დიოპმა კი გოლი ასე იზეიმა: მაისურა გაიხადა, დააგდო და თანაგუნდელებთან ერთად მის გარშემო რიტუალური ცეკვა შეასრულა.

შესვენების შემდეგ არაფერი შეცვლილა. სენეგალელები თავიანთ გეგმას მისდევდნენ, ფრანგები კი ვერც გეგმას მისდევდნენ და ვერც ბურთს, რომელიც მალიმალ ეკარგებოდათ. მე-60 წუთზე ლურჯების მწვრთნელმა, როჟე ლემერმა პირჯვარი გადაიწერა და ჯორკაეფი კრისტოფ დიუგარით შეცვალა, მაგრამ თურმე ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო — დიუგარიმ სრულიად გაუგებარი ფუნქციის შესრულება დაიწყო. ერთადერთი, რაც მისი მოედანზე შესვლის შემდეგ შევნიშნეთ, დაღლილი ფეხმტკივანი ტიერი ანრის მარჯვენა ფრთაზე გადასვლა გახლდათ, რაც, ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ მარცხნივ ანრის ძალიან ყოჩაღი ფერდინარდ კოლი არ აძლევდა გასაქანს და მას თუ გაარიდეს.

შესვენების შემდეგ გამორჩეულად, კიდევ აქეთ-იქით ძელებისთვის ბურთის გარტყმას თუ აღვნიშნავთ, ფრანგების ძელს ხელმრუდ-ფეხმრუდმა ფადიგამ დაუმიზნა, ხოლო სენეგალელებისას ზემოხსენებულმა ანრიმ.

ცხადია, იყო მონაკვეთები, როდესაც მსოფლიოს ჯერ მაინც ჩემპიონებმა თავს ძალა დაატანეს და სიმძიმის ცენტრის აფრიკელთა საჯარიმოსთან გადატანა მოახერხეს, მაგრამ ერთი, რომ ეს მონაკვეთები დიდხანს არ გრძელდებოდა და მეორეც: სენეგალელთა მეკარე ტონი სილვა უმკლავდებოდა ყველასა და ყველაფერს — დაიჭერდა ბურთს და ილიმოდა.

სხვა ისეთი, თქვენი ძვირფასი ყურადღების შეჩერება საგანგებოდ რომ ღირდეს, არაფერი გვახსენდება, იმაზე, რომ ორივე გუნდს მკერდზე მამალი ეხატა და მაისურები რომ გაგეცვალათ, ძნელად თუ მიხვდებოდით, რომელი საფრანგეთი იყო და რომელი სენეგალი (ფრანგთა შორის ხომ რამდენიმე სენეგალელი თამაშობდა), ახლა ნუ შევჩერდებით, წინ ძალიან დიდი ტურნირი გველის და ძალები შემოვინახოთ.

**ბაჩუნა კედია**



REUTERS

გუშინ ტიერი ანრიმ საგოლედ ერთხელაც ვერ მოიქნია

სენეგალი მეორე აფრიკული გუნდი გახდა, რომელმაც მუნდიალის გახსნის მატჩში ითამაშა და მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი დაამარცხა. პირველობა კამერუნელებს ეკუთვნით. 1990 წელს მათ არგენტინას 1:0 მოუგეს

## მატჩის შემდეგ

**როჟე ლემერი**
*საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი*

სენეგალელებმა გააკეთეს ის, რაც მათ ძალებს აღემატებოდა. ისინი ორგანიზებულად თამაშობდნენ, განსაკუთრებით ხუთკაციანი ნახევარდაცვა. როცა გუნდი კარგადაა შეთამაშებული, მის წინააღმდეგ სისწრაფეა საჭირო, ჩვენ ეს ვერ შევძელით.

ვერა და ვერ გავარღვიეთ სენეგალელთა მწყობრი დაცვა. ისინი უმალ ეწყობოდნენ კონტრშეტევებზე. ასეთ შემთხვევაში, როცა მეტოქემ კარგად იცის, რას აკეთებს, ძნელია მის წინააღმდეგ თამაში.

თუმც ჯერ არაფერია დაკარგული, წინ ორი მატჩია. ვეცდებით, გავიმარჯვოთ და მერვედფინალში გავიდეთ.

**ბრუნო მეტიუ**
*სენეგალის ნაკრების მწვრთნელი*

ეს გამარჯვება უკან დაგვრჩება, თუ მომავალ მატჩებშიც არ ვიყოჩაღებთ. ჩვენმა ფეხბურთელებმა ახლა კი ირწმუნეს, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის ძალა შესწევთ.

ვოცნებობდი ჩემი გუნდის ასეთ თამაშზე. ფრანგებთან შესახვედრად განსაკუთრებულად ვემზადებოდით და გარჯა დაგვიფასდა კიდეც. გამარჯვებაში იღბალიც დაგვეხმარა, თუმც მხოლოდ ამის ხარჯზე არ მოგვიგია. ახლა წინ ორი ბარიერი დაგვრჩა და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ გმირული გამარჯვების შემდეგ მთავარ მიზანს — მერვედფინალს მივაღწიოთ.

**ფრანკ ლებეფი**
*საფრანგეთის ნაკრების მცველი*

იური ჯორკაეფმა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა, მაგრამ ზიდანი ვერ შეცვალა. მაგრამ ერთ კაცზე ყველაფრის გადაბრალება არ ეგების. ეს გუნდური მარცხი იყო და არა ინდივიდუალური.

სენეგალელებს ერთი შანსი მიეცათ და ისიც გამოიყენეს. ისე კი, სასაცილო გოლი გამოვიდა. დარჩენილ მატჩებში უნდა მოვიგოთ, თანაც ისე, რომ ბლომად ბურთები გავიტანოთ. მჯერა, მომავალ შეხვედრაში ურუგვაის დავამარცხებთ.

## სტენოგრამა

**მე-4 წუთი:** ლილიან ტურამის მარჯვნიდან ჩაწოდებულს ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა დავიდ ტრეზეგემ უხეიროდ მოუქნია.

**მე-7 წუთი:** კუთხურის ალამთან ახლოს ელ-ჰაჯი დიუფმა მარსელ დესაი გააცურა და საჯარიმოში შეჭრილ პაპე ბუბა დიოპს დაუგორა. ამას კი ბარტეზმა აუღო.

**მე-20 წუთი:** ფაბიენ ბარტეზის შორეულ პასს დავიდ ტრეზეგე შეყვა, თუმც მას მეკარემ დაასწრო და ვითარება განმუხტა.

**22-ე წუთი:** პეტი-ანრი-ტრეზეგეს სამსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის მოჭრილი დარტყმით დასრულდა. სენეგალელებს მხსნელად ძელი მოევლინათ.

**30-ე წუთი:** ელ-ჰაჯი დიუფმა ფრანკ ლებეფი ბავშვივით მოატყუა და მეტოქის საჯარიმოში განივი პასი გააკეთა, ემანუელ პეტის უხეიროდ მოგერიებული ბურთი ბარტეზს მოხვდა და იქვე მყოფმა პაპე ბუბა დიოპმა ვარდნაში ბურთი „ლურჯთა" კარში შეაგდო.

**34-ე წუთი:** იური ჯორკაეფის საჯარიმოში ჩაწოდებულს დავიდ ტრეზეგე შეჰყვა, ამჯერადაც მეკარემ იმარჯვა.

**42-ე წუთი:** ოციოდ მეტრიდან იური ჯორკაეფის სახიფათოდ დარტყმული სენეგალელთა კარს ასცდა.

**56-ე წუთი:** ლილიან ტურამის საჯარიმოში ჩაწოდებულს დავიდ ტრეზეგემ თავი დაუხვედრა, მაგრამ მცირედით ააცილა.

**57-ე წუთი:** სილვენ ვილტორდმა ტიერი ანრის თავზე დაასვა ბურთი, მან კი ორიოდ მეტრიდან ხარიხას გადააშორა.

**59-ე წუთი:** იური ჯორკაეფის შორიდან დარტყმული ტონი სილვამ ნახტომში მოიგერია, მაგრამ ბურთი წინ დაუვარდა. დამატებაზე დავიდ ტრეზეგემ ყველას დაასწრო. მეკარემ აქაც იყოჩაღა და ფრანგს კარისკენ არ დაარტყმევინა.

**65-ე წუთი:** საჯარიმოს კუთხიდან ხალილუ ფადიგას უძლიერესად გასროლილი ხარიხამ აისხლიტა.

**67-ე წუთი:** ტიერი ანრიმაც იგივეთი უპასუხა. მისმა მოჭრილმა დარტყმამ ასევე ხარიხა „მოიკითხა".

**85-ე წუთი:** ფრანკ ლებეფის შორეულ აბრაგანს ტონი სილვა იოლად გაუმკლავდა.

**89-ე წუთი:** ტიერი ანრი საჯარიმოში შეიჭრა და კარში დარტყმაც მოახერხა. სენეგალელთა კარის დარაჯმა კვლავ იმარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კორეა-იაპონია 2002
## ანონსი. A ჯგუფი. №3

### ურუგვაი — დანია

დღეს. ულსანი. „ულსან მუნსუ სთადიუმ". 14.00

**სავარაუდო შემადგენლობები**

| ურუგვაი | დანია |
|---|---|
| კარინი, გ. მენდესი, ლემბო, მონტერო, დ. როდრიგესი, ვარელა, პ. გარსია, გიგუ, რეკობა, დარიო სილვა, აბრეუ | სორენსენი, ჰელვეგი, ლაურსენი, ჰენრიკსენი, ჰაინცე, რომედალი, ტოფტინგი, გრავესენი, გრონკიაერი, ტომასონი, სანდი |
| მწვრთნელი: ვიქტორ პუა | მწვრთნელი: მორტენ ოლსენი |

**მსაჯი: საად ქამელ მანე (ქუვეითი)**



ვიქტორ პუამ პაოლო მონტეროს ჭალათობა აუკრძალა

# ვიკინგი ჯალათს ვერ ნახავს

**სადღეისო** ურუგვაი — დანიაზე თხრობა 1986 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატით დავიწყოთ. ამ გუნდების 16 წლის წინანდელმა მატჩმა ორივესთვის ბევრი რამ განსაზღვრა. მაშინ დანიამ 6:1 სძლია ურუგვაის და თავის ალმასვლას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც სკანდინავიელებმა ექვსი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონობით დააგვირგვინეს. ურუგვაი კი 16 წლით მოსწყდა მსოფლიო საფეხბურთო ფორუმს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ მექსიკის მუნდიალზე ურუგვაელთა ძვალთამსხვრეველი მორტენ ოლსენი დღეს დანიის ნაკრებს წვრთნის. მას კი ასისტენტობას სწორედ ის მიქაელ ლაუდრუპი უწევს, თექვსმეტი წლის წინ სასიკვდილო განაჩენი რომ გამოუტანა სამხრეთამერიკელებს.

ისტორია იქით იყოს და დღეს ამ გუნდთა შედარებისას ეგებ, დიდი სხვაობა არც გამოჩნდეს, რაკილა ურგვაელებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე 16-წლიანი უქმობა გონსმოსასვლელად ეყოთ, ლაუდრუპების ხანაგავლილი დანია კი ძველებურად ველარ ბრწყინავს.

მიუხედავად ამისა, ფაქტები ევროპელთა მცირე უპირატესობაზე მაინც მიუთითებენ, რაკილა ვიკინგებმა წაუგებლად განვლეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი, ურუგვაიმ კი სამუნდიალო 32 რჩეულთაგან ბოლომ მოიპოვა კორეა-იაპონიის საგზური ავსტრალიასთან ორმატჩიან საპლეიოფო ჭიდილში.

მეორე მხრივ, ურუგვაი ის ნაკრებია, შესარჩევი ეტაპის 20 მატჩში (პლეიოფის ჩათვლით) ოდენ 12 გოლი რომ გაუშვა — თვით არგენტინასა და ბრაზილიაზე ნაკლები. ეს ფაქტი იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ შეტევაზე დაგეშილ ტომასონ-სანდიან დანიელებს ერთობ გაუჭირდებათ სამხრეთელთა დაცვის ხაზის გაჭრა.

ერთი შეხედვით, მორტენ ოლსენის გუნდს თავდასხმაში ნაკლები პრობლემა უნდა ჰქონდეს, რადგან ჩინებულ ფორმაშია ებე სანდი. წარმატებული სეზონი ჰქონდა უეფას თასის აშწევ იონ დალ ტომასონსაც. ამათ წესით, იმიტომაც არ უნდა გაუჭირდეთ, რომ საზოგადოდ, დანია ფლანგებიდან ნახევარმცველთა შეტევებითაც გამოირჩევა.

სკანდინაველთა თავის ტკივილი იუვენტუსელები იქნებიანო, ირწმუნებიან ურუგვაელები და, ცხადია, მეკარე ფაბიან კარინისა და მცველ პაოლო მონტეროს გულისხმობენ.

მონტერო ვახსენეთ და, აქვე არ შეიძლება მატჩის არბიტრის, ქუვეითელ საად კამელ მანეს საამმატჩო დიდი ტვირთი გამოგვრჩეს. სწორედ პაოლო მონტეროა ის კაცი, სერია A-ს ისტორიაში ყველაზე ბევრჯერ რომ მიუბრძანებიათ მოედნიდან და საზოგადოდაც, ურუგვაის ნაკრები გამორჩეულია უხეშობით, მაგრამ იმავე მონტეროს თუ ვერწმუნებით, მისი გუნდი „სამხრეთული ჯალათების" იარლიყჩამოშორებული წარსდგება მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ ურუგვაელებს აქილევსის მყესის დაშავების გამო დანიასთან მატჩში ნახევარმცველი ფაბიენ ონილი დააკლდებათ, მას, სავარაუდოდ, ჯანი გიგუ შეცვლის.

**ბაატა ძგანტალიანი**

## ურუგვაი VS დანია

| ურუგვაი | | დანია |
|---|---|---|
| რიჩარდ მორალესი (197 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | იესპერ კრისტიანსენი (192 სმ) |
| ნიკოლას ოლივერა (166 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | იან ჰაინცე (170 სმ) |
| რიჩარდ მორალესი (90 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | პეტერ კიაერი (88 კგ) |
| ნიკოლას ოლივერა (66 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | იან ჰაინცე (63 კგ) |
| დარიო სილვა (12 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | ებე სანდი (17 გოლი) |
| პაოლო მონტერო (45) | ყველაზე მეტი თამაში | იან ჰაინცე (83) |
| 181.2 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 181.9 სმ |
| 78.1 კგ | საშუალო წონა | 76.8 კგ |
| 25.75 | საშუალო ასაკი | 27.98 |
| ხოსე ბიზერა (22 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | კრისტიან პოულსენი (22 წლის) |
| გუსტავო მენდესი (31 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | იან ჰაინცე (38 წლის) |

## კორეა-იაპონია 2002
## ანონსი. E ჯგუფი. №2

### ირლანდია — კამერუნი

დღეს. ნიიგატა. „სთადიუმ ბიგ სუან". 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| ირლანდია | კამერუნი |
|---|---|
| გივენი, ფინანი, ბრინი, სტონტონი, ჰარტი, მაკატირი, ჰოლანდი, კინსელა, კილბეინი, დაფი, კინი | ალიუმი, ჩატო, რ. კალა, რ. სონგი, ჯერემი, ლორენი, ფოე, ოლემბე, ვომე, ეტოო, მბომა |
| მწვრთნელი: მიკ მაკარტი | მწვრთნელი: ვინი შეფერი |

**მსაჯი: ტორუ კამიკავა (იაპონია)**

# დაივიწყა კინი, ახსოვს ვინი

**როგორი** იქნება ირლანდია როი კინის გარეშე? შესუსტებული თუ პირიქით, შეკრული და ჟინიანი? ამას ნაწილობრივ დღეს ნაშუადღევს ვნახავთ.

ცხადია, კინის არყოფნა დიდი დანაკლისია არა მარტო ირლანდიელთათვის, არამედ, საერთოდ მსოფლიოს ჩემპიონატის მაყურებლისთვის. მაგრამ მისი ნაკრებიდან მოკვეთა გარდაუვალი იყო, „მანჩესტერის" კაპიტანმა მწვრთნელ მიკ მაკარტის პირში მიახალა რასაც ფიქრობდა და მაკარტის რეაქციამაც არ დააყოვნა, თუმცა, ამბობენ, ირლანდიელები ბოლო დღემდე იმედოვნებდნენ, მრისხანე კაპიტანი მაინც დაბრუნდებაო. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის ზეწოლით მაკარტიც დათანხმდა კინისთვის ეპატიებინა, თუკი ის ბოდიშს მოუხდიდა, მაგრამ კინი რის კინია, ასეთ გარიგებაზე წასულიყო — მაკარტი ამაოდ ელოდა მის ზარს და ისტორიაც ამით დამთავრდა.

ახლა საკითხავია, შეძლებს კი მის სრულფასოვნად შეცვლას ჩარლტონელი მარკ კინსელა, ვინც მუხლის მცირე ტრავმის გამო შუა კვირაში დაისვენა და ახლა იფსვიჩელ მეტ ჰოლანდთან ერთად ირლანდიელთა შუა ხაზის მთავარ იმედად ითვლება.

მაკარტი იმედს არ კარგავს და ფეხბურთელებს დიდი ბრძოლისთვის განაწყობს. მას 1990 წლის მიღწევის გამეორება სურს ჯეკი ჩარლტონის თავკაცობით მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მოხვედრილმა ირლანდიელებმა მეოთხედფინალამდე რომ გააღწიეს და იქ იტალიასთან დრამატულ მატჩში დამარცხდნენ. სხვათა შორის, იმ გუნდის კაპიტანი სწორედ მაკარტი გახლდათ.

„წინა კვირა ურთულესი იყო ჩემს კარიერაში, კინთან მომხდარმა ამბავმა, ცხადია, ყველა შეგვაშფოთა, მაგრამ ჩემმა ფეხბურთელებმა უკვე ყველაფერი დაივიწყეს და არაფერზე ნერვიულობენ. საბრძოლველად მზად ვართ" — ამბობს მაკარტი.

დღეს შეტევაში ბლექბერნელი დემიენ დაფი და ლიდსელი რობი კინი ითამაშებენ. მაკარტი განსაკუთრებით ვერცხლისწყალივით მოძრავ დაფს გამოარჩევს და იმუქრება, ეს ბიჭი თავს აუცილებლად დაგამახსოვრებთო.

ახლა კამერუნელებზეც ვთქვათ, გუნდზე, რომელიც ზედიზედ ორჯერ გახდა აფრიკის ჩემპიონი და ობიექტურად კონტინენტზე მართლაც ყველაზე ძლიერია. სენეგალელთა გუშინდელი მატჩიც გავიხსენოთ და ნათელი გახდება, რომ დღეს ირლანდიელებს ძალიან გაუჭირდებათ. კამერუნელებს არ ჰყავთ კაშკაშა ვარსკვლავები, მაგრამ მათი სტაბილური და სოლიდური თამაში გერმანელ მწვრთნელ ვინი შეფერს სულ მცირე, ჯგუფიდან გასვლის იმედს აძლევს.

დაცვაში მთავარი ხალხი არჩილ არველაძის კიოლნელი თანაგუნდელი რიგობერტ სონგი და რეალელი ჯერემი ნჯიტაპი არიან. შუა ხაზში ირლანდიელებს მარკ ვივიან ფოეს, სალომონ ოლემბეს, ლორენის და პიერ ვომეს წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ, ხოლო წინა ხაზზე აფრიკელებს მალიორკელი სამუელ ეტოო და სანდერლენდელი პატრიკ მბომა ეყოლებათ.

„დღეს კამერუნელი ფეხბურთელები ადრინდელზე დისციპლინირებულნი არიან — დასძენს შეფერი — ბევრი ნიჭიერი მოთამაშე გვყავს და ისეთი ლიდერებიც მოგვეძებნება, თანაგუნდელებს მაგალითს რომ მისცემენ. ამიტომ, ჩემპიონატს დიდი იმედით ვიწყებთ."

მაშ ასე, სენეგალმა უკვე გაგვაკვირვა, ახლა კამერუნიც ვნახოთ...

**სოლომონ გულისაშვილი**



მიკ მაკარტიმ როი კინი დაივიწყა

## ირლანდია VS კამერუნი

| ირლანდია | | კამერუნი |
|---|---|---|
| ნაილ ქუინი (195 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | რაიმონ კალა (192 სმ) |
| დევიდ კონოლი (172 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | სალომონ ოლემბე (171 სმ) |
| ნაილ ქუინი (100 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | რაიმონ კალა (86 კგ) |
| დემიენ დაფი (60 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | სალომონ ოლემბე (66 კგ) |
| ნაილ ქუინი (21 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | პატრიკ მბომა (23 გოლი) |
| სტივ სტონტონი (98) | ყველაზე მეტი თამაში | ჟაკ სონგო (66) |
| 180.5 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 179.1 სმ |
| 74.08 კგ | საშუალო წონა | 77.21 კგ |
| 27.9 | საშუალო ასაკი | 25.3 |
| სტივენ რიდი (21 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | იდრის კარლოს კამენი (18 წლის) |
| ნაილ ქუინი (35 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | ბუკარ ალიუმი (30 წლის) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. E ჯგუფი. №4**

## გერმანია — საუდეთი

დღეს. საპორო. „საპორო დოუმ". 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| გერმანია | საუდეთი |
|---|---|
| კანი, მეცელდერი, რამელო, ლინკე, ფრინგსი, ჰამანი, შნაიდერი, ციგე, ბალაკი, იანკერი, კლოზე | ლ-დეაია, სულეიმანი, ზუბრომავი, ა. ალ-დოსარი, ალ-შლუბი, ნოორი, ალ-ტემიატი, ალ-ჯამდი, ჯუმაანი, ალ-ჯაბერი, ო. ალ-დოსარი |
| მწვრთნელი: რუდი ფიოლერი | მწვრთნელი: ნასერ ალ-ჯოჰარი |

**მსაჯი: უბალდო აკინო (პარაგვაი)**

# სადესერტო ვაჟიშვილები

## საიდუმლო იარაღი, მზვერავი და საიბეს ქლიბე

**ჟამთასვლამ** მოიტანა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები ამ მუნდიალზე ფავორიტად შერაცხულნი არ არიან. დღეს გერმანიას პირველი მატჩი ელის, მაგრამ რუდი ფიოლერმა რეალურად არ იცის, თუ რას უნდა ელოდოს მეტოქისგან — აი, დაახლოებით ასეთი რიტორიკა სჭვივის წინასამატჩოდ.

იმასაც შეგახსენებთ, ფიოლერმა რომ თქვა, ჩვენი პროგრამა-მინიმუმი ჯგუფიდან გასვლააო. ორი წლის წინ კი ერიხ რიბეკის დამომღვრილი გერმანია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდანაც ვერ გავიდა და აქედან გამომდინარე, ფიოლერის ნათქვამი არც უნდა გაგვიკვირდეს.

ყველაფერ პირველს თავისებური დატვირთვა და პეწი აქვს. გერმანელთა მეკარე და კაპიტანი ოლივერ კანი ამ გარემოებას თავისებურად ხსნის: „გარკვეული თვალსაზრისით, პირველი თამაში გადამწყვეტია, რადგან ის მთელი ტურნირისთვის იძლევა იმპულსს. ამ მატჩს ფინალივით უნდა მივუდგეთ".

გერმანელები საუდელ არაბებს ოთხი წლის წინათ გადაეყარნენ და 3:0 მოუგეს, თუმცა ის მატჩი ამხანაგური გახლდათ.

საინტერესოა, საუდის არაბეთის ნაკრებისთვის შექმნილი თიკუნი თუ განსაზღვრება — „სადესერტო ვაჟიშვილები". თუმც გერმანელებს დესერტი ყველა ვარიანტში უნდა ემწაროთ, რადგან მომდევნო მატჩები ირლანდიასთან და კამერუნთან აქვთ.

გერმანელებმა ჭკუა იხმარეს და საუდელთა საკონტროლო თამაშებზე თავიანთ მწვრთნელთა ბანაკიდან მზვერავი, ერიხ რუტემოელერი მიავლინეს. „ბრწყინვალე გუნდია და ვფიქრობ, ბევრი მას სათანადოდ ვერ აფასებს. მათი ფეხბურთელები ძალიან ტექნიკურები არიან და თვალში საცემი სუსტი წერტილები არ გააჩნიათ" — ასეთი ამბავი მოიტანა მზვერავმა.

ამის გამგონე ფიოლერის თანაშემწე მიხაელ სკიბემ კი თავის ფეხბურთელებს უთხრა, რუტემოელერის შეხედულებას საუდის არაბეთის ნაკრების მიმართ ნუ გაიზიარებთო: „ჩვენ კი არა, საუდელებმა თვითონაც არ იციან, ვის ჰგვანან. ირლანდიასთან და კამერუნთან მატჩებში კი უფრო მეტ ნაცნობ სახეებს წავაწყდებით, რადგან მათი თითქმის ყველა ფეხბურთელი ევროპულ კლუბებში თამაშობს" — დასძინა სკიბემ.



რუდი ფიოლერი და მიხაელ სკიბე მზვერავის ინფორმაციამ ვერ შეაშინა

თუ რა პრობლემები შეუქმნა ტრავმებმა ფიოლერის გუნდს, ამაზე ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ. საუდელებზე კი გეტყვით, რომ მათ ყველაზე უფრო მეკარე მოჰამედ ალ-დეაიასი და ვეტერანი ფორვარდის სემი ალ-ჯაბერის ეიმედებათ.

„ჩვენ საიდუმლო იარალი საუდეთის პოზიციაა — უარის თქმა წაგებაზე. მსოფლიოს ჩემპიონატს იმ სცენად განვიხილავთ, საიდანაც მსოფლიოს ჩვენი ფეხბურთი უნდა ვაჩვენოთ" — ეს სიტყვები საუდის არაბეთის პრინც ტურკი ბინ ხალიდს ეკუთვნის, რომელიც ეროვნული გუნდის დელეგაციას მეთაურობს.

მიხაელ სკიბემ კი მოკლედ მოჭრა: „მჯერა, რომ შეგვიძლია მთელი 90 წუთი მაღალ ტემპში ვითამაშოთ და ეს მატჩი მოვიგოთ".

**დავით თავართქილაძე**

## გერმანია VS საუდეთი

| გერმანია | | საუდეთი |
|---|---|---|
| კარსტენ იანკერი (193 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | მოჰამედ ალ-დეაია (189 სმ) |
| ოლივერ ნოივილი (171 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | ჰუსეინ სულეიმანი (172 სმ) |
| ჰანს-იორგ ბუტი (91 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | აბდულა ჯუმაანი (83 კგ) |
| ოლივერ ნოივილი (64 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | მანსურ ალ-თაფაქი (59 კგ) |
| ოლივერ ბირჰოფი (36 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | სამი ალ-ჯაბერი (38 გოლი) |
| კრისტიან ციგე (66) | ყველაზე მეტი თამაში | მოჰამედ ალ-დეაია (168) |
| 184.8 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 178.6 სმ |
| 80.82 კგ | საშუალო წონა | 71.08 კგ |
| 28.2 | საშუალო ასაკი | 25.6 |
| კრისტოფ მეცელდერი (21 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | მოჰამად ალ-შლუბი (21 წლის) |
| ოლივერ ბირჰოფი (34 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | მოჰამედ ალ-დეაია (29 წლის) |

# მედიამ დუდეკი ვერ გატეხა

**ფლეულს** გამართული ამხანაგური მატჩებით თუ ვიმსჯელებთ, პოლონეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგს არაფერს უნდა მოელოდეს, თუმცა მეკარე ირჟი დუდეკის ოპტიმიზმს საზღვარი არ აქვს.

— მთავარია, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვხვდით — ვკითხულობთ მის პერსონალურ ვებ-გვერდზე — არც ახლა დავნებდებით და კარგად ვითამაშებთ. მახსოვს, ბავშვობაში როგორ განვიცადე, როცა პოლონეთის ნაკრებმა 1990 წლის ჩემპიონატზე თამაშის უფლება ვერ მოიპოვა. ჩვენ კი ეს შევძელით.

დუდეკი ნაკრების წლევანდელ უსახურ თამაშსაც შეეხო: ესტონეთთან გამარჯვებამ გუნდს საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნა, წელში გავიმართეთ, ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ თამაშის მოგება ფსიქოლოგიურად ძალიან წაგვადგა რუმინეთთან და იაპონიასთან მარცხის შემდეგო.

ისე, სწორედ ესტონეთთან მინიმალური ანგარიშით გამარჯვების შემდეგ პოლონური მედია კიდევ უფრო პესიმისტურად განეწყო, ესენი ესტონეთს ძლივს უგებენო.

დუდეკის აზრით, ჩემპიონატის ფავორიტები არგენტინა და საფრანგეთი არიან. სიურპრიზების შემოთავაზება პორტუგალიასაც შეუძლია, ჩვენი ნაკრები კი ვინმეს აუცილებლად გაამწარებსო. „ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯებით და ბრძოლისთვის მზად ვართ. თუ ასე გავაგრძელეთ, კარგ შედეგს მივაღწევთ" — დასძინა დუდეკმა.

**სერგი ქორიძე**



**ჩილეს ნაკრები** მუნდიალზე ხომ ვერ მოხვდა და ახლა იქაურები მსოფლიოს ჩემპიონატს ტელევიზორშიც ვერ უყურებენ. ფეხბურთზე გაგიჟებული 15-მილიონიანი ქვეყნისთვის თავზარდამცემი ამბავი „დაირექტ TV"-იდან მოდის. ეს ადგილობრივი საკაბელო არხია, რომელსაც სულ რაღაც 9000 აბონენტი ჰყავს და ჩილეში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩვენების ექსკლუზიური უფლება სწორედ მას აქვს. საკითხავი კია, ასეთმა მცირეგაბარიტიანმა არხმა მუნდიალის ექსკლუზივი ხელში როგორ ჩაიგდო.

# ჩილეში ბნელა

## შუქი აქვთ, მაგრამ...

როგორ და, ამერიკული „ჰიუს ელექტრონიკს კორპორეიტედ CMH-N"-ის მეშვეობით. „დაირექტ-TV" სწორედ ამ ამერიკული მედიაკომპანიის საკუთრებაა.

დღესდღეობით ორი საკაბელო არხი აწარმოებს მოლაპარაკებას „დაირექტთან". ლაპარაკია ორ მილიონ დოლარზე, თუმც, როგორც ჩილეს სახელმწიფო ტელევიზიის წარმომადგენლები ამბობენ, ორი მილიონი დიდი ფულია და ჩილე — ქვეყანა, რომელმაც 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ტელევიზიით გადასცა, 40 წლის შემდეგ უმუნდიალოდ დარჩებაო.

**სერგი ქორიძე**

# კირონ დაიერი მინდორზე გაწერეს

**როგორც იქნა**, დაადგა საშველი კირონ დაიერს. სვენ გორან ერიკსონის თქმით, შვედეთის წინააღმდეგ ინგლისელთა პირველ მატჩში დაიერი მოედანზე იქნება. არადა, ბოლო დღეებში ფეხბურთელის ინგლისში გაგზავნაზეც კი იყო ლაპარაკი.

— კირონი ითამაშებს. დღესდღეობით 23-ივე ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. შევეცდებით, ბოლო წამს რაიმე პრობლემა არ შეგვექმნეს — განაცხადა ერიკსონმა. ინგლისელთა მწვრთნელის თქმით, ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში ალბიონელთა კაპიტანი დევიდ ბექემიც სასტარტო შემადგენლობაში იქნება.



REUTERS ფოტო

# მექსიკას შიმიჩის კოჭი დაუჯდა

**ხორვატია** ორშაბათს მსოფლიოს ჩემპიონატს მექსიკასთან მატჩით დაიწყებს. მირკო იოჟიჩის სამწყსო პირველ მატჩს თითქმის უპრობლემოდ ხვდება. ეს „თითქმის" კი დარიო შიმიჩია. 26 წლის ინტერელ მცველს კოჭი აწუხებს და მისი პირველ მატჩში თამაში საეჭვოა.

„მინდა, მწვრთნელს მადლობა მოვუხადო, ტრავმის გამო შინ რომ არ გამიშვა. ვფიქრობ, მექსიკასთან მატჩისთვის მოვმჯობინდები. თუ არა და, წინ კიდევ ორი არანაკლებ მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის — განაცხადა შიმიჩმა.

მისი არყოფნის შემთხვევაში ცენტრალური მცველის პოზიციაზე სავარაუდოდ იოსიპ სიმუნიჩს გაამწესებენ, რომელიც ბერლინის „ჰერტაში" თამაშობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა. ტაქტიკა

## ინგლისი



დევიდ სიმენი, თუ გოლი არ გაუშვა, ძლიერად ურტყამს. ყველა ფიქრობს, რომ ბურთი მოედნის ცენტრში დაეშვება, მაგრამ ის მაიკლ ოუენთან მიდის, ოუენი არტყამს და გოოოოოოოოოოლ!

## გერმანია



გერმანელები პრაგმატული ხალხია. მათ იციან, რომ ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი წრფეზე გადის, ამიტომ მეკარე აძლევს პასს ცენტრალურ მცველს, ის ცენტრალურ ნახევარმცველს, ის თავდამსხმელს (ცენტრალურს) და გოოოოოოოოოოლ!

## იტალია



ამათთვის მთავარია, არ გაუშვან, მაგრამ მოსაგებად ერთი გოლია საჭირო, რისთვისაც უხალისოდ გადადიან შეტევაში და პასს აძლევენ დელ პიეროს, რომელსაც სირბილი ეზარება და პირველსავე ხელსაყრელ მომენტში ეცემა.
ინიშნება პენალტი და გოოოლ!

## ბრაზილია



ბრაზილიური ტაქტიკა ასეთია: ბურთს ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ, ათრევენ და გოოოოოოოოოოოლ!

## ბელგია



ამათ ჰგონიათ, რომ გერმანელები არიან და ისეთივე ტაქტიკით თამაშობენ, მაგრამ ცენტრალური თავდამსხმელი ორიენტაციას კარგავს, კონტრშეტევას იწყებს და ეჰ, გოოოოოოოოოლ!

## ესპანეთი

და სად აქვს ესპანეთს ტაქტიკა?

## საფრანგეთი



ბარტეზი აძლევს ჟორკაეფს, დესაი აძლევს პეტის, ანრი აძლევს ვიეირას, ლიზარაზუ აძლევს ზიდანს, ტურამი აძლევს ლებეფს, ლე პენი აძლევს შირაკს და თამაში მთავრდება 1:0 სენეგალის სასარგებლოდ

## პორტუგალია



პორტუგალია თამაშობს ინგლისური, გერმანული, ბრაზილიური, ბელგიური, ფრანგული და ესპანური ტაქტიკით, ბოლო წუთზე კი შავიერი თამაშობს ხელით და ყველანი მსაჯისააააააააკენ!




**იყიდება უნიკალური წიგნები**

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა“ (1885) და „მზა-მეტყველება“ (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“ (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული“ (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81


# იუბილარი



## ტონი სანე

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი იუბილარი ამერიკელთა ოცდამეორე ნომერი ენტონი სანე გახლავთ, შინაურულად ტონის რომ ეძახიან, დღეს ის ოცდათერთმეტისა გახდა.

თავის დროზე მინესოტელმა ბიჭმა ამავე ქალაქის გუნდში დაიწყო თამაში. ამერიკული მეიჯორ ლიგა რა ბედენაა და მეორე ლიგა რა იქნებოდა — „მინესოტა“ სწორედ მეორე ლიგის გუნდი გახლდათ. მაგრამ სანე სწრაფი ბიჭი და საჰაერო ორთაბრძოლების ოსტატი ყოფილა, რის გამოც მეიჯორ ლიგის „D.C. იუნაიტედმა“ შეამჩნია და თავისთან გადაიბირა, იქ კი ნაკრების მწვრთნელის ბრუს არენას თვალთახედვის არეშიც მოექცა.

ნაკრებში მიწვევის შემდეგ სანე ევროპაშიც შეამჩნიეს და სამი წლის წინ ბერლინის „ჰერტამ“ აიყვანა, მერე კი „ნიურნბერგს“ გადაულოცა, სადაც ამჟამადაც თამაშობს.



## ლუიჯი დი ბიაჯო

წინასწარ ვერ მოგახსენებთ, ორშაბათს იტალია — ეკვადორის მატჩში ჯოვანი ტრაპატონის ლუიჯი დი ბიაჯო სასტარტო შემადგენლობაში ეყოლება თუ არა, მაგრამ ამ დღეს ინტერელი ნახევარმცველის დაბადების დღე რომ არის, წყალი არ გაუვა. დი ბიაჯო ოცდათერთმეტისა მოიყრება.

ლუიჯი დი ბიაჯოს ხსენებისას, კაცს უმალ გაახსენდება 1998 წლის 3 ივნისის საღამო, როცა მსოფლიოს ჩემპიონატზე ფრანგებთან პენალტების სერიამდე მიყვანილ მეოთხედფინალში მან მეხუთე, გადამწყვეტი დარტყმა გააფუჭა, თორემ საფრანგეთი ეგებ ვერც გამხდარიყო ჩემპიონი.

თამაში კი მან 17 წლისამ დაიწყო „ლაციოში“, მერე კი „რომასა“ და „ფოჯას“ გავლით, როგორც მოგახსენეთ, „ინტერში“ ამოჰყო თავი.



## კი ჰონგი

ორშაბათს იტალიელები თუ ლუიჯი დი ბიაჯოს დაბადების დღეს აღნიშნავენ, ჩინელებს თავისი იუბილარი ჰყავთ — კი ჰონგი, რომელსაც ტორტი თუ მიართვეს, ოცდაექვსი სანთლის ჩაქრობა მოუწევს.

„შანხაი ჟონგუანის“ ფეხბურთელს ჩვენში აბა, ვინ იცნობს, ჩინელები კი ამბობენ, ჩვენი ნაკრების მუნდიალზე მოხვედრა ოდენ ბორა მილუტინოვიჩის დამსახურება არ გახლავთ, კი ჰონგის გოლებიც წაგვეხმარაო.

სიმართლეს ჰგავს: ჰონგმა ორ წელიწადში ოცდათოთხმეტი სანაკრებო მატჩი გამართა და ათი გოლი მიითვალა, რაც ცოტა არ არის, მით უმეტეს, ნახევარმცველისთვის, მეტწილად გოლები ასე გააქვს — ჩინელი თავდამსხმელები მეტოქის საჯარიმოში რაღაცას ფაფხურობენ, ამ დროს ჰონგი წამოეშველება ხოლმე და იტანს.

კი ჰონგი ბორა მილუტინოვიჩის ფავორიტიც ყოფილა.

# სქუადრას სწავლა რად უნდა

## კრისტიან ვიერი კარის გზას თავად გაიგნებს

**იტალიის** ნაკრებს პირველ სამუნდიალო მატჩში მეტოქედ მსოფლიოს ჩემპიონატის ახალბედა ეკვადორი ერგო. ფეხბურთის თამაში დღეს რომ თითქმის ყველამ ისწავლა, სიახლე ნამდვილად არაა, ამიტომაც „სკუადრა აძურას“, მიუხედავად ჩინ-მედლების სიუხვისა, ჯერ მთლად „ნედლ“ სამხრეთამერიკელებთან მაინც სიფრთხილე მართებთ.

თამაშის წინ არც ტაქტიკაზე ყბედობაა უპრიანი და ამიტომაც იტალიელთა მთავარმეგოლე კრისტიან ვიერი მოკირკიტე ჟურნალისტებთან საუბრისას ზოგად ფრაზებს დასჯერდა: „მსოფლიოს ჩემპიონატზე იოლი მეტოქეები არ არიან. ეკვადორი კარგი გუნდია, ჩვენ მათი ძალა ჯეროვნად უნდა შევაფასოთ და მოედანზე ასი პროცენტით დავიხარჯოთ“.

ჟურნალისტებს თუ ვენდობით, ჯოვანი ტრაპატონი პირველ მატჩს 4-4-2 განლაგებით ჩაატარებს. წინ, რა თქმა უნდა, კრისტიან ვიერი იდგება, რომელსაც ფრანჩესკო ტოტი შეუწყვილდება. შეტევაზე მიმართული ოთხი ნახევარმცველი ვიერისთვის საგოლე პასთა მიცემის ალბათობას გაზრდის. მან კი თავისი საქმე როგორც იცის, კარგად მოგეხსენებათ.



— თავდასხმაში მწვრთნელი ერთ, ორ თუ სამ კაცს გაამწესებს, მისი საქმეა. მე გოლის გატანა მევალება, ამიტომ არც ტაქტიკურ მონახაზზე ფიქრით ვიმტვრევ თავს. არც ტრაპატონი მაიძულებს. სამაგიეროდ, მოედანზე ყველამ კარგად ვიცით, რა ვაკეთოთ.

გუნდში საოცარი ატმოსფეროა. ჩემი აზრით, ძალიან ძლიერი შემადგენლობა გვყავს. მნიშვნელოვანია, რომ ნაკრების წევრთა უმეტესობა მრავალი წელია, ვიცნობთ ერთმანეთს. ვფიქრობ, იტალიის ნაკრებს ჩემპიონობა შეუძლია. წინასწარი ვარაუდებისგან თავს შევიკავებ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატი მოულოდნელობებით არის სავსე. დაზუსტებით კი ერთს გეტყვით, ჩვენ შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ, რაც დიდად მახარებს და რასაც, ვიმედოვნებ, ჩინებული შედეგის მოტანაც შეუძლია — ამბობს ვიერი.

**გიორგი გაგარდაშვილი**

# მოდი და ნუ დაუჯერებ

**ბირმინგემში** ვინმე ადრიან ფიცპატრიკი ცხოვრობს. თუმც არა, ის ვინმე კი არა, მილიონერი ადრიან ფიცპატრიკია — გიჟი მილიონერი. და სად მოაგროვა ეს მილიონები? დანამდვილებით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ აზარტული და მისანი კაცი ყოფილა.

1994 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, სახელოვან „უილიამ ჰილის“ სანიძლაო კანტორაში ფული მიაცუნცულა. ფიცპატრიკი ფსონს იტალია — ბრაზილიის ფინალზე ჩავიდა. მერე? ცხადია, გახსოვთ, იმ ფინალის ამბები. გულთმისანმა 498 ათასი გირვანქა მოგებული ფული დაითვალა. გარდა ამისა, მან 1994 წლიდან მოყოლებული, თამაშ-თამაშით კიდევ 600 ათასი მოიგო.

მაგალითად, შარშან ლონდონის „არსენალის“ ჩემპიონობაზე 40 ათას გირვანქას ჩავიდა. „არსენალმა“ პრემიერლიგაში იმარჯვა, ჩვენმა მილიონერმა კი ფულის დასტას 105 ათასი კიდევ მიამატა. მან „ბირმინგემის“ პრემიერლიგაში აღზევებაც გამოიცნო, რისთვისაც 10 ათასი ჩაიჯიბა.

მთლად ისე ნუ დავხატავთ, თითქოს ადრიანს წაუგებელი სერია აქვს. არა, 1998-ში ბრაზილიის ჩემპიონობა იწინასწარმეტყველა და, ცხადია, წააგო კიდეც.

აი, რას ამბობს იგი: „მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მაქვს კავშირები, საიდანაც ინფორმაციას ვღებულობ. ამჟამად საფრანგეთიდან და ესპანეთიდან ძალიან საინტერესო ამბები შევიტყვე“.

არ ვიცი, რა ჭია შეუჩნდა ამ კაცს, მაგრამ იცით, რა გადაუწყვეტია? ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონობისა ძალიან სჯერა და დასტურად „უილიამ ჰილში“ ერთმილიონიანი ფსონი დადო.

უბრალოდ და მარტივად, მივიდა და უთხრა: „მე ჩამოვდივარ მილიონს, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი გახდება“. გახდება რო? რას გაიგებ, ძალიან ყომარბაზი კი ყოფილა.

**გაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 31 მაისი

გია ახვლედიანი



REUTERS სურათები

ტომით სენეგალელი პატრიკ ვიეირა დასასვენებლად სენეგალელი სალიფ დიაოს ზურგზე ჩამოჯდა

„სულის სიღრმეში მე სენეგალელი ვარ. სენეგალური კულტურა ჩემშია", — ამბობდა გუშინდელი მატჩის წინ ფრანგთა გოლიათი პატრიკ ვიეირა, როჟე ლემერი კი თავის გუნდს 1990 წლის მსოფლიოს თასის გახსნის თამაშს ახსენებდა, როცა კამერუნელებმა ერთი მოხდენილი თავურით დაამარცხეს მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინელები. ისე აგიხდეთ ყოველივე კარგი, ზიზუს გარეშე დარჩენილ ფრანგთა მწვრთნელს რომ აუხდა.

სენეგალური კულტურა კი პატრიკ ვიერაშია, მაგრამ პატრიკმა ცეკვა მაინც ვერ შეძლო, რადგან მსოფლიო თასის პირველი გოლი სენეგალელებმა გაიტანეს და არა ფრანგებმა

# დიდი, ფრანგული აფრიკა

## დარდი შეგჩვევია, ლუიშ!

**მეტიც**, ფრანგებმა საერთოდ ვერ გაიტანეს და ფეხბურთში რომ კრივის საშეჯიბრო წესები მოქმედებდეს, სენეგალელები უკვე გამოცხადდებოდნენ ჩემპიონებად, რადგან მსოფლიოს ჩემპიონს მოუგეს.

სენეგალელთა შორის კი არ იყო არცერთი ფეხბურთელი, საფრანგეთს გარეთ რომ თამაშობდეს. სენეგალელებს შეეძლოთ ეთქვათ, სულის სიღრმეში ჩვენ ფრანგები ვართო, რადგან ფრანგული ლიგისა ამ ოსერელმა, სტრასბურელმა, ლანსელმა და სედანელმა შავმა ბიჭებმა მეტი იციან, ვიდრე მსოფლიოს დიდ გუნდებში გაბნეულმა მსოფლიოს ჩემპიონებმა. ვიეირა იქეთ იყოს და მოედანზე ათი წუთით შესული ჯიბრილ სისე საერთოდაც სენეგალელია. მოკლედ, იქ იოლი გასარკვევი არ იყო, ვინ სენეგალელია და ვინ ფრანგი. გაირკვა მხოლოდ ის, რომ ორი ლანსელი, ელ ჰაჯი დიუფი და ფერდინანდ კოლი საუცხოო ფეხბურთელები არიან.

ყოველივე ამის ფონზე, აბა, ვინ გაიხსენებს, რომ ფიფას დიდ და ნათელ კაბინეტს ტოვებს მიშელ ზენ-რუფინენი, პრეზიდენტ ბლატერის მარჯვენა ხელი და მის წინააღმდეგ წამოწყებული აფრიკული ინტრიგის მთავარი შემოქმედი. ამ ჩემპიონატსაც ვუცქერ და მერე შინ წავალ, რაიმე სხვა სამსახურს მოვძებნიო.

ზენ-რუფინენის წასვლა ფეხბურთის ქომაგთათვის დიდი არაფერი დარდია. ფიფას დიდმოხელეები მაყურებელს გულს ვერ აუჩუყებენ, მაგრამ წასვლაზე ერთი უფრო დასანანი კაციც ალაპარაკდა.

ბოლო ხანია, მელანქოლიას შეუპყრია ლუიშ ფიგუ, რომელმაც სევდა ჩემპიონთა ლიგის ფინალშიაც ვერ დაძლია. გასაკვირი არაა, რომ ლისაბონელ კაცს ერთგვარი მელანქოლია დასდევდეს, მაგრამ ნამეტანიც არ შეიძლება. ფიგუს თებერვლიდან სტანჯავს ტრავმა, რომელმაც აშკარად იმოქმედა მის განწყობაზე. იგი მსოფლიოს ჩემპიონატსაც როგორღაც უხასიათოდ შეეგება. ორიწლისწინანდელი ევროპის პირველობისგან განსხვავებით, პორტუგალიელთა ლიდერმა ყოველგვარი ამბიციის გარეშე, დარდიანად შენიშნა ერთი კვირის წინთ: ეჰ, რა უნდა მოხდეს, რომ პორტუგალია მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ფავორიტად ჩავთვალო, ჩვენი შანსი მხოლოდ შემთხვევითობაში უნდა ვეძებოთო.

გუშინ კი ფიგუმ ამოიოხრა: ბევრს ჰგონია, რომ მოედანზე დიდხანს დავრჩები, მე კი პირიქით, ვგრძნობ, რომ ახლოა ის დღე, როცა თამაშს თავს დავანებებ. თარიღი არ განმისაზღვრავს, მაგრამ მის მოახლოებას ვგრძნობ.

მოდი და გაუგე ლუიშს, რომელიც მართლა დატანჯა ტრავმამ. თუმცა, იმედია, რომ მალე ჭამაში მოვა მას შემდეგ, როცა პორტუგეზები ნავარდით დაამარცხებენ ამერიკელებს.

რთული ამბავი ფიგუს და მის ამხანაგებს პოლონელებთან მატჩში ელით, რადგან ამ შეხვედრის მსაჯად სქოთი ჰიუ დალასია დანიშნული. დალასი მსოფლიოს თასის ფინალის განსჯის ერთ-ერთი კანდიდატია პიერლუიჯი კოლინასთან ერთად, მაგრამ პორტუგალიელთათვის ის ყველაზე საზიზღარი მსაჯია. სწორედ მისტერ დალასმა დაინახა აბელ შავიერის ხელის და ბურთის უცილობელი კავშირი ევრო-2000-ის ნახევარფინალის ბოლო წუთზე და პორტუგალიელები ფინალს გარეთ დატოვა, რადგან ზიდანმა პენალტი გაიტანა, ფიგუმ კი მაშინ შინდისფერი მაისურა გაიხადა, მინდორზე დააგდო და საერთოდაც ძლივს დააბრუნეს მოედანზე. მეტიც, პორტუგალიელებს შეუტყვიათ, რომ გვერდით მსაჯად ის სლოვაკი იგორ შრამკა იქნება, ვინაც დალასს დაუდასტურა, აბელ შავიერს ხელზე მოხვდა ბურთიო.

ჰოდა, ახლა პორტუგალიის ფედერაცია ხმაურობს, რაც გასაკვირი სულაც არაა.

პირინეელებზე მეტს ხმაურობენ აპენინელები, რაც მოსალოდნელიცაა და აუცილებელიც. იტალიის პრემიერ-მინისტრმა ბერლუსკონიმ ღიმილით გამოაცხადა, ბიჭებს ვუთხარი, მსოფლიოს თასის გარეშე არც დაბრუნდეთო. იტალიას მართლაც კარგი ბადე აქვს, გაჩნია როგორ გადააგდებს წყალში.

პირველი თამაშის გაცდენა, მგონი, უკვე კარგ ტონად ითვლება ვარსკვლავებს შორის. ხოსე ლუის ჩილავერტი იმიტომ ვერ ჩადგება თავისი გუნდის კარში, რომ შარშან შესარჩევ ციკლში, რობერტო კარლოსს შეაფურთხა.

პირველ შეხვედრას ალბათ გამოტოვებს ალესანდრო დელ პიერო, რომელიც ეგებ საერთოდ ველარ მოხვდეს სასტარტოში, რადგან სენიორ ტრაპის ახალი სქემით ფრანჩესკო ტოტი თავდამსხმელად იქცევა და კრისტიან ვიერის უნდა შეუწყვილდეს წინა ხაზზე. რა მოხდება აძურთა შორის, ძნელი გამოსათვლელია, მოხუცმა ბაჯო არ წაიყვანა, დელ პიერო მყავსო და ახლა ირკვევა, რომ დელ პიეროც ალარ სჭირდება. მწვრთნელი კი ჯერჯერობით თავისაზე დგას, ან დელ პიერო თამაშს გაუძლევს შუა მოედნიდან, ან სათადარიგოთა სკამზე იჯდესო. ტრაპატონი ეკვადორის ნაკრებსაც უფრთხის, პირველ თამაშში ყველაფერი მოსალოდნელია, მით უმეტეს, აწყობილ გუნდთანო. აქვე შეგახსენებთ, რომ ეკვადორელთა ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი, 34 წლის ალექს აგინაგა მექსიკურ „ნეკაქსაში" თამაშობს.

ბოლოს კი ისევ ფრანგები მოვიხსენიოთ ერთადერთი, თანაც გაცვეთილი ფრაზით: ჩემპიონობის მოპოვება უფრო ძნელია, ვიდრე შენარჩუნება.

გახსნის მატჩის მთელ მანძილზე, რატომღაც ოცი წლის წინანდელი არგენტინის ნაკრები მახსენდებოდა.

აფრიკა კი კიდევ უფრო ძლიერდება. იყო კამერუნი, დაემატა ნიგერია, ახლა კი სენეგალიც გამოჩნდა ხმაურით, დაფით, ნაღარითა და ცეკვით.





ჯოვანი ტრაპატონიმ ალესანდრო დელ პიეროს ალმაცერად შეხედა



გულგატეხილ ლუიშ ფიგუს პორტუგალიის ჩემპიონობისა არ სჯერა

## საგანგებო ლოზუნგი

### წესება წესებაა, მაგრამ გახსნის თამაშის წესება, სულ სხვა წესებაა!



REUTERS სურათები




იოზეფ ბლატერი და მიშელ ზენ-რუფინენი ითლად ვერ გაიყრებიან

# მისტერ პატიოსნება ბლატერმა გააპატიოსნა

**„აღმასრულებელი** კომიტეტი ძალიან მალე განიხილავს „მისტერ პატიოსნების" საკითხს" — თქვა გუშინ ფიფას ძველ-ახალმა პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა. „მისტერ პატიოსნება" კი, რაღა თქმა უნდა, გენერალური მდივანი მიშელ ზენ-რუფინენია.

ზენ-რუფინენი, ფიფაში მუშაობას რომ ველარ გააგრძელებდა, ეს 29 მაისის კონგრესის შემდეგ ცხადი გახდა. უბრალოდ, მოხსნის კონკრეტული თარიღიღა რჩებოდა უცნობი.

გენერალური მდივანი პოსტს 4 ივლისამდე შეინარჩუნებს. აღმასრულებელ კომიტეტში ზენ-რუფინენის მხარდამჭერებსაც პრეზიდენტის ერთგულები შეცვლიან — ბლატერი იმ ადამიანებთან მუშაობას, რომლებიც მის წინააღმდეგ წავიდნენ, შეუძლებლად მიიჩნევს.

ზენ-რუფინენმა კი გუშინწინდელი ნათქვამი შეცვალა და განაცხადა, რომც არ სურდეთ, მაინც წავიდოდიო.

„არაფერს ვნანობ. არც უკან დავიხევ, თუმც წასვლა კი მომიწევს" — დასძინა ბლატერის ყოფილმა უმცროსმა მეგობარმა. უკან არ დავიხევო, რომ თქვა, შვეიცარიის სასამართლოში ბლატერის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი იგულისხმა.

**სერგი ძორიძე**

# ილიე ვალენსიას გაექცა და ბედს შეეყარა

**აქ გამჩერებელი** აღარ ვარო, განაცხადა ადრიან ილიემ თავის გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე. რუმინელი „ვალენსიადან" წავიდა. მიზეზი სათადარიგოთა სკამის ხეხვა და მეორე გუნდში თამაში გახდა.

„მეორე გუნდში თამაშს არ ვიმსახურებ. ბევრს ვვარჯიშობ, თავს ვიკლავ, მაგრამ ვინ მიფასებს. ისე არ გამიგოთ, რომ ჩემს თანაგუნდელებთან რაიმე კონფლიქტი მქონდეს. საქმე ის არის, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ისე არ მექცევა, როგორც საჭიროა" — თქვა ფეხბურთელმა.



თავად ჟურნალისტები ილიეს წასვლის მიზეზს კლუბის მწვრთნელ რაფაელ ბენიტესთან კონფლიქტში ხედავენ. ასეა თუ ისე, რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელი წავიდა, მომავალი კლუბი კი მას უფასოდ ჩაიგდებს ხელში, რადგან ილიეს კონტრაქტი „ვალენსიასთან" გუშინ ამოიწურა.

სხვათა შორის, უკვე ექსვალენსიელი ილიე უახლოეს დღეებში დაქორწინებას აპირებს

**სერგი ძორიძე**

ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისურ** პრემიერლიგაში ალზევებულმა „ბირმინგემმა" „ლესტერის" ნახევარმცველი რობი სევიჯი შეიძინა. ახალწვეულმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და ვარჯიშსაც შეუდგა. მისი ტრანსფერი „ბირმინგემს" დაუზუსტებელი ცნობით ორი მილიონი გირვანქა დაუჯდა.

**იაპონიაში მყოფმა გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა ტორსტენ ფრინგსმა სასიამოვნო ცნობა მიიღო. „ვერდერის" სპორტულმა დირექტორმა კლაუს ალოფსმა მას „დორტმუნდში" გადასვლის ნება დართო. 25 წლის ფრინგსი უკვე კარგა ხანია, ამას მოითხოვდა, თუმც ბრემენელებმა მისი გაშვება ახლაღა გადაწყვიტეს. ფრინგსის შემცვლელად ბრაზილიური „ატლეტიკო მინეიროს" ნახევარმცველ ჟილბერტუ სილვას ასახელებენ, რომელიც „ვერდერში" გადაბარგებაზე თანახმაა.**

**იტალიური** „ლაციოს" პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ განაცხადა, რომ ალესანდრო ნესტას სატრანსფერო თანხა 60 მილიონი ევროა. რომაელთა კაპიტანის თქმით, მას წინადადებით მხოლოდ ტურინის „იუვენტუსმა" მიმართა. „იუვენტუსი" „ლაციოს" 30 მილიონ ევროს და ორი ფეხბურთელიდან ერთ-ერთს — ბრიჯის ან ძამბროტას სთავაზობს.

**პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ანტონიო კოლმან როდრიგესი შეუძლოდ გახდა და სეულის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოათავსეს. ამჟამად მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.**

**გერმანული** „ლევერკუზენის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ბერნდ შნაიდერის გაყიდვას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ 25 წლის შნაიდერის შეძენას იტალიური „რომა" და ესპანური „ბარსელონა" ცდილობდნენ. „შნაიდერი ჩვენთან დარჩება. ის გუნდისთვის ძალიან საჭირო ფეხბურთელია" — თქვა „ლევერკუზენის" მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა.

**ინგლისის ჩემპიონი „არსენალი" ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის" ორი მოთამაშის — მარკ ვან ბომელისა და კევინ ჰოფლანდის შეძენას აპირებს. „მეთოფეები" ვან ბომელში 12 მილიონ გირვანქას იხდიან, 22 წლის ჰოფლანდში კი — 10 მილიონს.**

**მოლდოვური** „ზიმბრუს" მწვრთნელი რუმინელი გაბრიელ სტანი გახდა. მან ამ პოსტზე ნიკოლაი მანდრიჩენკო შეცვალა. 49 წლის სტანმა „ზიმბრუსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ადრე ის რუმინულ კლუბებში — „კორვინულში", „ასტრაში", „რეშიცასა" და „ბრაშოვში" მუშაობდა.

**იტალიის ჩემპიონ „იუვენტუსს" ესპანური „ბარსელონას" ნახევარმცველი ხეხარდ ლოპესის შეძენა სურს. კატალონიელთა ახალი თავკაცი ლუის ვან გაალი ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს, ლოპესი კი კლუბის დატოვებაზე ფიქრობს.**

# დაყავი და იოცნებე



მარკო ვან ბასტენი

**მოგეხსენებათ**, უეფა ყოველწლიურად სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულ ფეხბურთელებს აჯილდოებს. აბა, ეს წელი გამონაკლისი რად უნდა ყოფილიყო? ამასთანავე ერთი ახალი პრიზიც დაწესდა — „უძვირფასესი მოთამაშე".

უეფას ხუთ ნომინაციაში — საუკეთესო მეკარე, მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი და მწვრთნელი — ჯერჯერობით ექვს-ექვსი პრეტენდენტი ჰყავს. ამ ექვსიდან, პირველ ეტაპზე სამ-სამს გაცხრილავენ, დარჩენილთაგან კი საუკეთესოს აირჩევენ.

თავიდანვე ვთქვათ, რომ მადრიდის „რეალს" ხუთივე ნომინაციაში ჰყავს კანდიდატი: სესარი, რობერტო კარლოსი, ფერნანდო იერო, ზინედინ ზიდანი, რაული და ვისენტე დელ ბოსკე.

ახლა კი პრეტენდენტთა სრულ სიას გადავხედოთ.

***მეკარეები:*** ფაბიენ ბარტეზი („მანჩესტერ იუნაიტედი"), ოლივერ კანი („ბაიერნი"), ირჟი დუდეკი („ლივერპული"), სესარ სანჩესი („რეალი"), ჰანს-იორგ ბუტი („ლევერკუზენი"), ჯანლუიჯი ბუფონი („იუვენტუსი");

***მცველები:*** კაფუ („რომა"), რობერტო კარლოსი („რეალი"), სემი ჰიიპია („ლივერპული"), იენს ნოვოტნი („ლევერკუზენი"), ბიქსენტ ლიზარაზუ („ბაიერნი"), ფერნანდო იერო („რეალი");

***ნახევარმცველები:*** ზინედინ ზიდანი („რეალი"), რობერ პირესი, პატრიკ ვიეირა (ორივე „არსენალი"), მიხაელ ბალაკი („ლევერკუზენი"), დევიდ ბექემი, როი კინი (ორივე „მანჩესტერ იუნაიტედი");

***თავდამსხმელები:*** დიეგო ტრისტანი („დეპორტივო"), რაული („რეალი"), ტიერი ანრი („არსენალი"), დავიდ ტრეზეგე („იუვენტუსი"), რუუდ ვან ნისტელროი, რაიან გიგზი (ორივე „მანჩესტერ იუნაიტედი").

***საუკეთესო მწვრთნელობის კანდიდატები არიან:*** ვისენტე დელ ბოსკე („რეალი"), კლაუს ტოპმიოლერი („ლევერკუზენი"), ალექს ფერგიუსონი („მანჩესტერ იუნაიტედი"), ხავიერ ირურეტა („დეპორტივო"), ბერტ ვან მაარვიკი („ფეიენოორდი"), ჟერარ ულიე („ლივერპული").

2001-2002 წლების უძვირფასესი მოთამაშის საგანგებო პრიზზე კი პრეტენზიას აცხადებენ: ზინედინ ზიდანი, მიხაელ ბალაკი, სემი ჰიიპია, რუუდ ვან ნისტელროი და როი კინი.

უეფაში თურმე „ოცნების გუნდის" შექმნაზეც ოცნებობენ. ამ გუნდში ადგილს ისინი დაიკავებენ, ვისაც 1992 წლიდან დღემდე ჩემპიონთა ლიგაში ბურთი გაუგორებია.

მაშ ასე, *მეკარეები:* ანდონი სუბისარეტა, ოლივერ კანი, პიტერ შმეიხელი, ედვინ ვან დერ სარი;

*მცველები:* სერხი ბარხუანი, მანუელ სანჩისი, ფერნანდო იერო, ფრანკო ბარეზი, რონალდ კუმანი, რობერტო კარლოსი;

*ნახევარმცველები:* ხოსეპ გვარდიოლა, ლუის ენრიკე, გაისკა მენდიეტა, ფერნანდო რედონდო, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ერიკ კანტონა, რუუდ გულიტი, დევიდ ბექემი.

*თავდამსხმელები:* რაული, რივალდო, რომარიო, რონალდო, მარკო ვან ბასტენი, ანდრეი შევჩენკო, გაბრიელ ბატისტუტა.

ოცნებას ვერავის დაუშლი, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილთაგან „ოცნების გუნდში" მხოლოდ 11 კაცი მოხვდება, დანარჩენები კი, ალბათ, სათადარიგოები იქნებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**



რომარიო

# ფრანგებმა ახალი ცოცხი აირჩიეს

**საფრანგეთის** ეროვნულ საფეხბურთო ლიგას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ჟერარ ბურგუანის სამწლიანი მმართველობა დასრულდა. მის სავარძელს ფრედერიკ ტირიე დაეპატრონა. ტირიემ დირექტორატის წევრებს ამცნო, საფეხბურთო მეურნეობაში ცვლილებებს ვაპირებო და სახელით დაიწყო — საფრანგეთის პირველ და მეორე დივიზიონებს მომავალი სეზონიდან პირველი და მეორე ლიგა დაერქმევა. ხოლო ის ამბავი, გაისიდან პირველ ლიგაში 18-ის ნაცვლად 20 გუნდი რომ იქნება, ტირიეს მისვლამდე გადაწყდა. ერთი ეგაა, ჯერაც არ გარკვეულა მეორე ლიგაში რამდენი გუნდი გავარდება — სავარაუდოდ, სამი უსუსტესი.

გაპრეზიდენტებულს არც მოყვარულ ფეხბურთელთა ლიგა დავიწყებია. პროფესიულ კლუბებს შორის განხორციელებული შიდა ტრანსფერები ხუთპროცენტიანი გადასახადით დაიბეგრება. მოგროვილ თანხას მოყვარულთა დასახმარებლად გამოიყენებენ.

ერთი პრობლემა ფრედერიკ ტირიეს უკვე მაგიდაზე დახვდა. ქვედალიგელ „ნიცას", რომელმაც საპირველლიგო საგზური მოიპოვა, ფინანსურად უჭირს ანუ კლუბმა ვერ წარადგინა სათანადო გარანტიები. უფულონი კი უძლიერესთა შორის არ სჭირდებათ, ამიტომ „ნიცას" ადგილი შესაძლოა, ამ სეზონში მეხუთეადგილოსანმა „ლე მანმა" მოიხელთოს. გამორიცხული არაა, რომ პირველი დივიზიონიდან დაქვეითებულ „მეცს" ან „ლორიანს" მიეცეს შანსი, კვლავ ბობოლებში დარჩნენ. ახალი პრეზიდენტი და დირექტორთა საბჭო ამ საკითხს უახლოეს დღეებში გადაწყვეტენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# 80 პროცენტიანი ტრანსფერი

## დემეტრაძე ბრიუგეში მიდის!



*საქართველოს ნაკრებისა და ამჟამად მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელმა გიორგი დემეტრაძემ ახალი სეზონიდან შესაძლოა, ბელგიის ვიცე-ჩემპიონ „ბრიუგეში" ითამაშოს.*

*დემეტრაძე, მოგეხსენებათ, „ლოკომოტივმა" გაზაფხულზე ესპანური „სოსიედადისგან" ინათხოვრა. იქამდე ჩვენებურმა ფორვარდმა ერთი წელიწადი პრიმერადივიზიონში გაატარა, თუმც ტრავმებისგან გატანჯული მოედანზე იშვიათად ჩანდა. ვერც „ლოკომოტივში" აეწყო საქმე დემეტრაძეს, მწვრთნელმა იური სიომინმა ის რამდენჯერმე ძირითად შემადგენლობაში კი ათამაშა, მაგრამ ბოლო ხანს სათადარიგოთა სკამს გაუშინაურა.*

*და აი, ახლა, როგორც თავად ფეხბურთელმა გვითხრა, დიდია შანსი, მან ისევ შეიცვალოს კლუბი და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოთამაშე „ბრიუგეს" მიაშუროს. ყოველ შემთხვევაში, დემეტრაძეს ბელგიელები დაუინტერესებია და ტრანსფერის წინააღმდეგი არც „ლოკომოტივია", არც „სოსიედადი" და, მით უმეტეს, არც ფეხბურთელი. ვნახოთ, ხვალ გიორგი დემეტრაძე მოსკოვის „ლოკომოტივთან" ერთად მოსამზადებლად ბარსელონას მახლობლად მდებარე კურორტზე მიემგზავრება, მისი მომავალიც იქ უნდა გაირკვეს.*

*ჩვენ კი გიორგი დემეტრაძეს გუშინ მოსკოვში დავუკავშირდით.*

— ორი კვირა ვისვენებდით და 27 მაისს შევიკრიბეთ. „ლოკომოტივის" რამდენიმე ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობს, ჩვენც ესპანეთის გზას არასრული შემადგენლობით ვადგავართ.

**— „სოსიედადიდან" „ლოკომოტივში" 1 ივნისამდე იყავი განათხოვრებული, ახლა რას აპირებ, დარჩები „ლოკომოტივში"?**

— ახლა ვერაფერს გეტყვით. მოსკოველებთან კონტრაქტის ვადა ოფიციალურად ნოემბერში იწურება, თუმც მასში ისიცაა გათვალისწინებული, რომ მაისის შემდეგ თუ მოვისურვებ გუნდის დატოვებას, რუსებმა ხელი არ უნდა შემიშალონ. ახლა ჩემს სურვილზეა დამოკიდებული დავრჩები თუ არა.

**— გადაწყვეტილი არ გაქვს, დატოვებ თუ არა მოსკოვს?**

— რა გითხრათ, დიდი შანსია, კლუბი გამოვიცვალო. რამდენიმე გუნდი მეპატიჟება, პირობებს გააჩნია.

**— შენით დაინტერესებულთ პირობებზე არ მოლაპარაკებიხარ?**

— დაახლოებით ვიცი, როგორ პირობებსაც მთავაზობენ.

**— რომელი გუნდები გეპატიჟებიან?**

— ვლადიკავკაზის „ალანია" და ბელგიური „ბრიუგე".

**— უფრო რეალური რომელი წინადადებაა?**

— ორივე. „ალანიას" პრეზიდენტი ტაკოევი ამ დილით დამიკავშირდა და ვლადიკავკაზში დაბრუნება შემომთავაზა. რა პირობებიც ესპანეთში გქონდა, იგივეს ჩვენც შეგიქმნითო.

**— შენ რა უპასუხე?**

— ვნახოთ, მოვიფიქრებ-მეთქი.

**— „ბრიუგეში" თამაშზე, ალბათ, უარს არ იტყვი.**

— არა, არ ვიტყვი და დიდი იმედი მაქვს, რომ ვითამაშებ კიდეც ამ კლუბში. 80 პროცენტი საქმე უკვე მოგვარებულია. ბელგიელები ესპანელებს უკვე ესაუბრნენ და ყოველი შემთხვევისთვის, რუსებისგანაც მიიღეს თანხმობა.

**— როდის უნდა გადაწყდეს შენი „ბრიუგეში" გადასვლის საკითხი?**

— სამ-ოთხ დღეში. საბოლოოდ კლუბები სწორედ ესპანეთში მოილაპარაკებენ. კურორტზე, სადაც „ლოკომოტივი" იქნება, ბელგიელებიც ჩამოვლენ და „სოსიედადის" წარმომადგენლებიც.

**— „სოსიედადი" „ბრიუგეში" გაგყიდის თუ ისევ გაგანათხოვრებს?**

— ამის თაობაზეც უნდა მოილაპარაკონ.

**— ფეხი აღარ გაწუხებს? ტრავმა თუ მოიშუშე?**

— საბოლოოდ გამოვჯანმრთელდი. რუსეთში თამაშისას სასურველი ფორმის აღდგენა ვერ მოვახერხე და ბოლო რამდენიმე მატჩიც ამიტომ გამოვტოვე. სიომინს ველაპარაკე, ვუთხარი კიდეც, დიდი ხნის ნამკურნალევს გამიჭირდა ძველებურად ათამაშება-მეთქი. მწვრთნელმა, ველოდი ასე რომ იქნებოდაო. მე ხომ პირველი არ ვარ, ვისაც ფორმის აღდგენა გაუჭიანურდა.

**ქობა ინასარიძე**

# ინტერტოტოს თასი

| | | | |
|---|---|---|---|
| **I ეტაპი. 22-23 ივნისი, 29-30 ივნისი** | | | |
| 1 | რიეკა (ხორვატია) | – | სენტ პატრიკზი (ირლანდია) |
| 2 | ლოკერენი (ბელგია) | – | ვიტ ჯორჯია (საქართველო) |
| 3 | სანტა კლარა (პორტუგალია) | – | შირაქი (სომხეთი) |
| 4 | ბატე (ბელარუსი) | – | აკადემისკი (დანია) |
| 5 | ? (იუგოსლავია) | – | ჰაკა (ფინეთი) |
| 6 | ციურიხი (შვეიცარია) | – | ბროტნიო (ბოსნია) |
| 7 | გლორია (რუმინეთი) | – | ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი) |
| 8 | ტრენჩინი (სლოვაკეთი) | – | ? (აზერბაიჯანი) |
| 9 | კონსტრუქტორული ან ჰინჩესტი (მოლდოვა) | – | ? (ჩეხეთი) |
| 10 | ჰელსინგბორგი (შვედეთი) | – | კოპერი (სლოვენია) |
| 11 | კიშპეშტი (უნგრეთი) | – | ქალგირისი (ლიტვა) |
| 12 | სენტ გალენი (შვეიცარია) | – | ტოფტირი (ფარერები) |
| 13 | ზაგლებე (პოლონეთი) | – | დინაბურგი (ლატვია) |
| 14 | ბრნო (ჩეხეთი) | – | აშდოდი (ისრაელი) |
| 15 | პარალიმნი (კვიპროსი) | – | ბრეგენცი (ავსტრია) |
| 16 | ლეირია (პორტუგალია) | – | ტრანსი ან ლ. მაარდუ (ესტონეთი) |
| 17 | ლა ვალეტა (მალტა) | – | ტეუტა (ალბანეთი) |
| 18 | კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) | – | სენტ ჯულია (ანდორა) |
| 19 | მარეკი (ბულგარეთი) | – | კერსვისი (უელსი) |
| 20 | ცემენტარნიცა (მაკედონია) | – | ჰაფნარი (ისლანდია) |
| **II ეტაპი. 30 ივნისი-1 ივლისი, 7-8 ივლისი** | | | |
| A | 8 | – | ბელენენსეში (პორტუგალია) |
| B | 18 | – | ტრუა (საფრანგეთი) |
| C | მიუნხენ 1860 (გერმანია) | – | 4 |
| D | ვილიარეალი (ესპანეთი) | – | 20 |
| E | ფულემი (ინგლისი) | – | 5 |
| F | სოშო (საფრანგეთი) | – | 11 |
| G | გენტი (ბელგია) | – | 1 |
| H | შტუტგარტი (გერმანია) | – | 2 |
| I | ტორინო (იტალია) | – | 15 |
| J | კრილია სოვეტოვი (რუსეთი) | – | 13 |
| K | ტეპლიცე (ჩეხეთი) | – | 3 |
| L | ტილბურგი (ჰოლანდია) | – | 12 |
| M | 6 | – | 16 |
| N | 9 | – | 10 |
| O | 7 | – | 17 |
| P | 14 | – | 19 |

**III ეტაპი. 14-15 ივლისი, 21 ივლისი**

J - L; ბრედა (ჰოლანდია) – B; H – პერუჯა (იტალია); E – ეგალეო (საბერძნეთი); O – ლილი (საფრანგეთი); კაიზერსლაუტერნი (გერმანია) – K; ბოლონია (იტალია) – C; მალაგა (ესპანეთი) – G; P – A; N – F; I – D; M – ასტონ ვილა (ინგლისი)

*ნახევარფინალების კენჭისყრა 15 ივლისს გაიმართება*

# მსოფლიოს ჩემპიონატი ვიდეოჩანაწერში

## ლოკერენი ავლაბარში გამაგრდება

**გუშინ,** ერთკვირიანი შესვენების შემდეგ, საინტერტოტოო სამზადისს შეუდგა თბილისური „ვიტ ჯორჯია". ვეტერინარები ორი კვირა მუშტაიდში, „დინამოს" საფეხბურთო სკოლის ბალახისსაფარიან მოედანზე ივარჯიშებენ.

ნამდვილად კარგია, ვიტელებმა თადარიგი ნაადრევად რომ დაიჭირეს, მაგრამ წვრთნა ისეთ დროს დაიწყეს, მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩი საფრანგეთი — სენეგალი რომ ხურდებოდა. კლუბის დირექტორატის განცხადებით, ბიჭები იმ თამაშის ვიდეოჩანაწერს აუცილებლად ნახავენ. მანამდე კი გუნდის ინტერესებია უზენაესი.

ნათქვამია, კაცია და გუნდებაო, მართლაც საქმიანი დასაწყისია, მაგრამ ნავარჯიშევს ვიტელებმა მატჩის ანგარიში იცოდნენ და... თუმც თავი იმწამსვე ინუგეშეს, სენეგალელთა მიერ ფრანგთა ძლევა მაშინაც კი საინტერესო სანახავია, როცა შედეგი წინასწარ არის ცნობილიო.

მუშტაიდში სავარჯიშოდ 19 ვიტჯორჯიელს მწვრთნელი ზურაბ ბერიძე გაუძღვა. ჯანი კარნევალი იტალიაშია შვებულებით და 7 ივნისს დაბრუნდება საქართველოში.

გუნდში ორი სიახლეა, „ვიტ ჯორჯიამ" საინტერტოტოოდ ორი მერებაშვილი დაიმატა. პირველი, ერეკლე მეცამეტე ეროვნულში თსუ-ს მთავარმეგოლე გახლდათ, ხოლო მეორე, ლევანი, ზესტაფონის „მეტალურგის" დაცვაში სტოპერობას კისრულობდა.

მეკარე სერგო ჭურაძე ოსურ „ალანიაშია" გასინჯვაზე და როგორც შევიტყვეთ, დღეს საკონტროლო მატჩსაც ითამაშებს. თავდამსხმელი რევაზ გოცირიძე კი თურმე გერმანიას ეშურება და იქაურ რეგიონულ ლიგაში აპირებს მოწყობას. დანაკლისიც ჯერჯერობით მხოლოდ ეს ორია, დანარჩენები ნაცნობი მოთამაშეები არიან.

სულ 20 ფეხბურთელს უნდა ევარჯიშა, მაგრამ გუშინდელი დღე საპატიო მიზეზის გამო ბესიკ თედორაძემ გააცდინა. ზურაბ ბერიძემ ვარჯიშის დაწყების ნიშანი მისცა და ვიტელებიც ორ-ორად, ერთმანეთის მიყოლებით ნელი ნაბიჯებით დაიძრნენ. მართალია, წვრთნა უბურთო იყო, მაგრამ სხვებთან ერთად ოფლი მეკარეების მწვრთნელმა ვეფხია გვენცაძემ და გუნდის დასტაქარმა რონალდ ხვადაგიანმაც ღვარეს.

„ვიტ ჯორჯიამ" მოედანს სიარულში ორი წრე შემოურა. მერე იყო გაჭიმვები, მოთელვა და სირბილი. ვეტერინართა გარემარბი გიორგი ადამია წვრთნას მალევე შეეშვა და მოედანი დატოვა. როგორც თავად გვითხრა, რაღაცამ აწყინა და მუცლის ტკივილმა შეაწუხა.

ვარჯიში ერთ საათში დასრულდა. როგორც ზურაბ ბერიძემ გვითხრა, სადღეისოდ ფეხბურთელთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ბიჭები ძირითადად სათამაშო წონით დაბრუნდნენ შვებულებიდან, ორიოდეს თუ გამოჰყვა ზედმეტი ერთი კილოგრამი.

„ვიტ ჯორჯიას" მეტოქის ბანაკში კი ჯერაც შესვენებაა, თუმც გუნდის მწვრთნელები სათადარიგო გუნდის მოთამაშეებს საკონტროლო მატჩებში აკვირდებიან. „ლოკერენის" ძირითადი მეკარე დაბანოვიჩი მსოფლიოს ჩემპიონატზეა და, ალბათ, სლოვენიის ნაკრებთან ერთად ესპანელებთან სათამაშოდ ემზადება. სხვა ლოკერენელი მოთამაშე კორეა-იაპონიაში არ არის.

ბელგიელებმა სათბილისო თადარიგი თურმე აქედანვე დაიჭირეს და სასტუმრო „მეტეხში" ნომრები უკვე დაჯავშნეს. ვიტელთა ხელმძღვანელობის თქმით, „ლოკერენს" ჩვენს დედაქალაქში საქომაგოდ 45 ბელგიელი ფანი ჩამოჰყვება, თუმც მანამდე ხომ ჩვენებურები უნდა ესტუმრონ ბენილუქსს.

**გამუკა ქვანტალიანი**



„ვიტ ჯორჯიამ" საინტერტოტოოდ ერეკლე მერებაშვილი (მარცხნივ) დაიმატა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო
# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია ბ. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 003 | ჩიტადელა-პისტოიეზე | 2,0 | 2,5 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,5 |
| 18.00 | 006 | მოდენა-სალერნიტანა | 1,35 | 3,5 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,4 |
| 18.00 | 007 | ნაპოლი-კომო | 2,2 | 2,6 | 3,3 | 1,15 | 1,3 | 1,4 |
| | | **იტალია. სერია ც1. პლეი-ოფი. 1-ლი მატჩები** | | | | | | |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 011 | ტრიესტინა-ლუკეზე | 2,0 | 2,6 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 19.30 | 012 | კატანია-ტარანტო | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,05 | 1,25 | 1,85 |
| | | **ნორვეგია. X ტური** | | | | | | |
| | | **2 ივნისი.** | | | | | | |
| 21.00 | 015 | ლილესტრიომი-სტაბეკი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,25 | 1,2 | 1,55 |
| 21.00 | 016 | ლინი-სოგნდალი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,05 | 1,15 | 2,2 |
| 21.00 | 017 | მოლდე-ვოლერენგა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 21.00 | 018 | მოსი-სტარტი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 21.00 | 019 | ოდ გრენლანდი-ბრინი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| 21.00 | 020 | რუსენბორგი-ბოდოი გლიმტი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 21.00 | 021 | ვიკინგი-ბრანი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი. 1 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 102 | ირლანდია-კამერუნი | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| 14.00 | 103 | ურუგვაი-დანია | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 16.30 | 104 | გერმანია-საუდეთი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 10.30 | 105 | არგენტინა-ნიგერია | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 12.30 | 106 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,7 |
| 14.30 | 107 | ინგლისი-შვედეთი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,65 |
| 16.30 | 108 | ესპანეთი-სლოვენია | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,2 | 2,3 |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 109 | ხორვატია-მექსიკა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 14.00 | 110 | ბრაზილია-თურქეთი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,2 | 2,3 |
| 16.30 | 111 | იტალია-ეკვადორი | 1,45 | 3,4 | 7,5 | 1 | 1,2 | 2,3 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 14.00 | 113 | იაპონია-ბელგია | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 16.30 | 114 | კორეა-პოლონეთი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 115 | რუსეთი-ტუნისი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 14.00 | 116 | აშშ-პორტუგალია | 7,0 | 3,5 | 1,45 | 2,3 | 1,2 | 1 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **1 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1002 | ირლანდია-კამერუნი | 3,3 | 2,0 | 3,0 |
| 14.00 | 1003 | ურუგვაი-დანია | 3,0 | 2,0 | 3,3 |
| 16.30 | 1004 | გერმანია-საუდეთი | 1,45 | 2,8 | 10,0 |
| | | **2 ივნისი** | | | |
| 10.30 | 1005 | არგენტინა-ნიგერია | 2,0 | 2,2 | 5,6 |
| 12.30 | 1006 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 2,3 | 2,1 | 4,4 |
| 14.30 | 1007 | ინგლისი-შვედეთი | 2,4 | 2,0 | 4,4 |
| 16.30 | 1008 | ესპანეთი-სლოვენია | 1,85 | 2,3 | 6,5 |
| | | **3 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1009 | ხორვატია-მექსიკა | 2,8 | 2,0 | 3,5 |
| 14.00 | 1010 | ბრაზილია-თურქეთი | 1,8 | 2,3 | 7,0 |
| 16.30 | 1011 | იტალია-ეკვადორი | 1,8 | 2,2 | 8,0 |
| | | **4 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1012 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 3,4 | 2,1 | 2,7 |
| 14.00 | 1013 | იაპონია-ბელგია | 3,1 | 2,0 | 3,2 |
| 16.30 | 1014 | კორეა-პოლონეთი | 3,2 | 2,0 | 3,1 |
| | | **5 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1015 | რუსეთი-ტუნისი | 2,0 | 2,3 | 5,0 |
| 14.00 | 1016 | აშშ-პორტუგალია | 6,5 | 2,3 | 1,8 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1102 | ირლანდია-კამერუნი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 14.00 | 1103 | ურუგვაი-დანია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,2 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 16.30 | 1104 | გერმანია-საუდეთი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 2,8 | 6,0 | 16,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| | | **2 ივნისი** | | | | | | | | | |
| 10.30 | 1105 | არგენტინა-ნიგერია | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 12.30 | 1106 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 14.30 | 1107 | ინგლისი-შვედეთი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 16.30 | 1108 | ესპანეთი-სლოვენია | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1109 | ხორვატია-მექსიკა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4, | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 14.00 | 1110 | ბრაზილია-თურქეთი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 16.30 | 1111 | იტალია-ეკვადორი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 14.00 | 1113 | იაპონია-ბელგია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 16.30 | 1114 | კორეა-პოლონეთი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1115 | რუსეთი-ტუნისი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 14.00 | 1116 | აშშ-პორტუგალია | 11,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 5,0 | 3,0 | 25,0 | 12,0 | 1,9 |


**გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო**
**ახალციხე. ნათენაძის №7**

**მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში**

# კროკო

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს
**სამუშაო საათები 9⁰⁰ — 19⁰⁰**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

**ნებისმიერ ბიუროში**


## რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **1 ივნისი** | | |
| 11.30 | 2002 | ირლანდია-კამერუნი | 1,6 | 1,9 |
| 14.00 | 2003 | ურუგვაი-დანია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2004 | გერმანია-საუდეთი | 2,0 | 1,55 |
| | | **2 ივნისი** | | |
| 10.30 | 2005 | არგენტინა-ნიგერია | 1,85 | 1,65 |
| 12.30 | 2006 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 1,7 | 1,8 |
| 14.30 | 2007 | ინგლისი-შვედეთი | 1,7 | 1,8 |
| 16.30 | 2008 | ესპანეთი-სლოვენია | 1,9 | 1,6 |
| | | **3 ივნისი** | | |
| 11.30 | 2009 | ხორვატია-მექსიკა | 1,65 | 1,85 |
| 14.00 | 2010 | ბრაზილია-თურქეთი | 2,1 | 1,5 |
| 16.30 | 2011 | იტალია-ეკვადორი | 1,75 | 1,75 |
| | | **4 ივნისი** | | |
| 11.30 | 2012 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 1,8 | 1,7 |
| 14.00 | 2013 | იაპონია-ბელგია | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2014 | კორეა-პოლონეთი | 1,75 | 1,75 |
| | | **5 ივნისი** | | |
| 11.30 | 2015 | რუსეთი-ტუნისი | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2016 | აშშ-პორტუგალია | 1,85 | 1,65 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| **1 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2102 | ირლანდია-კამერუნი | 1,7 | 1,8 |
| 14.00 | 2103 | ურუგვაი-დანია | 1,7 | 1,8 |
| 16.30 | 2104 | გერმანია-საუდეთი | 2,0 | 1,55 |
| **2 ივნისი** | | | | |
| 10.30 | 2105 | არგენტინა-ნიგერია | 1,75 | 1,75 |
| 12.30 | 2106 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 1,8 | 1,7 |
| 14.30 | 2107 | ინგლისი-შვედეთი | 1,7 | 1,8 |
| 16.30 | 2108 | ესპანეთი-სლოვენია | 1,75 | 1,75 |
| **3 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2109 | ხორვატია-მექსიკა | 1,7 | 1,8 |
| 14.00 | 2110 | ბრაზილია-თურქეთი | 1,9 | 1,6 |
| 16.30 | 2111 | იტალია-ეკვადორი | 2,0 | 1,55 |
| **4 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 1,65 | 1,85 |
| 14.00 | 2113 | იაპონია-ბელგია | 1,6 | 1,9 |
| 16.30 | 2114 | კორეა-პოლონეთი | 1,7 | 1,8 |
| **5 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2115 | რუსეთი-ტუნისი | 1,8 | 1,7 |
| 14.00 | 2116 | აშშ-პორტუგალია | 1,75 | 1,75 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
### (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **1 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2202 | ირლანდია-კამერუნი | 1,95 | 1,85 |
| 14.00 | 2203 | ურუგვაი-დანია | 1,85 | 1,95 |
| 16.30 | 2204 | გერმანია-საუდეთი | 1,15 | 5,0 |
| **2 ივნისი** | | | | |
| 10.30 | 2205 | არგენტინა-ნიგერია | 1,3 | 3,5 |
| 12.30 | 2206 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 1,65 | 2,3 |
| 14.30 | 2207 | ინგლისი-შვედეთი | 1,7 | 2,2 |
| 16.30 | 2208 | ესპანეთი-სლოვენია | 1,3 | 3,5 |
| **3 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2209 | ხორვატია-მექსიკა | 1,8 | 2,0 |
| 14.00 | 2210 | ბრაზილია-თურქეთი | 1,25 | 3,8 |
| 16.30 | 2211 | იტალია-ეკვადორი | 1,2 | 4,2 |
| **4 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2212 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 2,1 | 1,75 |
| 14.00 | 2213 | იაპონია-ბელგია | 1,85 | 1,95 |
| 16.30 | 2214 | კორეა-პოლონეთი | 1,95 | 1,85 |
| **5 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2215 | რუსეთი-ტუნისი | 1,5 | 2,6 |
| 14.00 | 2216 | აშშ-პორტუგალია | 3,8 | 1,25 |

## I ადგილი ჯგუფში

**2 ივნისი**

**12.30 3002 B ჯგუფ.**

| | |
|---|---|
| ესპანეთი | 1,4 |
| პარაგვაი | 4,0 |
| ს. აფრიკა | 8,0 |
| სლოვენია | 8,0 |

**3 ივნისი**

**14.30 3003 C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია | 1,15 |
| თურქეთი | 5,5 |
| კოსტა რიკა | 10,0 |
| ჩინეთი | 15,0 |

**4 ივნისი**

**16.30 3004 D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია | 1,5 |
| პოლონეთი | 3,2 |
| კორეა | 6,0 |
| აშშ | 10,0 |

**1 ივნისი**

**11.30 3005 E ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გერმანია | 1,55 |
| კამერუნი | 3,8 |
| ირლანდია | 4,0 |
| ს. არაბეთი | 20,0 |

**2 ივნისი**

**10.30 3006 F ჯგუფ.**

| | |
|---|---|
| არგენტინა | 1,65 |
| ინგლისი | 2,6 |
| ნიგერია | 6,0 |
| შვედეთი | 8,0 |

**3 ივნისი**

**11.30 3007 G ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იტალია | 1,4 |
| ხორვატია | 5,0 |
| მექსიკა | 6,0 |
| ეკვადორი | 7,0 |

**4 ივნისი**

**14.00 3008 H ჯგუფი**

| | |
|---|---|
| რუსეთი | 2,5 |
| ბელგია | 2,5 |
| იაპონია | 3,0 |
| ტუნისი | 7,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა ეტაპზე გავა გუნდი

| | ჯგუფში დარჩება | 1/8 ფინალი | 1/4 ფინალი | 1/2 ფინალი | ფინალი | ჩემპიონი |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3101 — 4,0 | 3201 — 1,15 | 3301 — 1,4 | 3401 — 1,9 | 3501 — 2,8 | 3601 — 4,0 |
| ბრაზილია | 3102 — 8,0 | 3202 — 1,01 | 3302 — 1,4 | 3402 — 2,0 | 3502 — 3,0 | 3602 — 4,0 |
| იტალია | 3103 — 7,0 | 3203 — 1,02 | 3303 — 1,35 | 3403 — 1,9 | 3503 — 2,8 | 3603 — 5,0 |
| საფრანგეთი | 3104 — 7,0 | 3204 — 1,02 | 3304 — 1,4 | 3404 — 1,9 | 3504 — 2,8 | 3604 — 5,0 |
| ინგლისი | 3105 — 2,5 | 3205 — 1,3 | 3305 — 1,8 | 3405 — 2,6 | 3505 — 4,0 | 3605 — 6,0 |
| გერმანია | 3106 — 5,0 | 3206 — 1,1 | 3306 — 1,6 | 3406 — 2,6 | 3506 — 4,4 | 3606 — 8,0 |
| ესპანეთი | 3107 — 7,0 | 3207 — 1,02 | 3307 — 1,4 | 3407 — 2,0 | 3507 — 4,2 | 3607 — 10,0 |
| პორტუგალია | 3108 — 6,0 | 3208 — 1,05 | 3308 — 1,5 | 3408 — 2,5 | 3508 — 6,0 | 3608 — 15,0 |
| კამერუნი | 3109 — 2,0 | 3209 — 1,5 | 3309 — 2,4 | 3409 — 4,4 | 3509 — 15,0 | 3609 — 40,0 |
| ნიგერია | 3110 — 1,3 | 3210 — 2,5 | 3310 — 3,5 | 3410 — 8,0 | 3510 — 20,0 | 3610 — 50,0 |
| პარაგვაი | 3111 — 2,0 | 3211 — 1,5 | 3311 — 3,5 | 3411 — 9,0 | 3511 — 20,0 | 3611 — 50,0 |
| შვედეთი | 3112 — 1,3 | 3212 — 2,5 | 3312 — 4,0 | 3412 — 10,0 | 3512 — 20,0 | 3612 — 50,0 |
| რუსეთი | 3113 — 2,0 | 3213 — 1,5 | 3313 — 3,4 | 3413 — 10,0 | 3513 — 25,0 | 3613 — 50,0 |
| პოლონეთი | 3114 — 1,8 | 3214 — 1,6 | 3314 — 3,5 | 3414 — 10,0 | 3514 — 25,0 | 3614 — 50,0 |
| ურუგვაი | 3115 — 1,6 | 3215 — 1,8 | 3315 — 3,8 | 3415 — 10,0 | 3515 — 25,0 | 3615 — 50,0 |
| ირლანდია | 3116 — 1,6 | 3216 — 1,8 | 3316 — 4,0 | 3416 — 10,0 | 3516 — 25,0 | 3616 — 50,0 |

| | ჯგუფში დარჩება | 1/8 ფინალი | 1/4 ფინალი | 1/2 ფინალი | ფინალი | ჩემპიონი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3117 — 1,65 | 3217 — 1,75 | 3317 — 3,5 | 3417 — 10,0 | 3517 — 25,0 | 3617 — 50,0 |
| ბელგია | 3118 — 1,9 | 3218 — 1,55 | 3318 — 3,8 | 3418 — 10,0 | 3518 — 25,0 | 3618 — 50,0 |
| დანია | 3119 — 1,55 | 3219 — 1,85 | 3319 — 3,8 | 3419 — 10.0 | 3519 — 25,0 | 3619 — 50,0 |
| იაპონია | 3120 — 2,0 | 3220 — 1,5 | 3320 — 3,4 | 3420 — 10,0 | 3520 — 25,0 | 3620 — 50,0 |
| მექსიკა | 3121 — 1,35 | 3221 — 2,3 | 3321 — 5,0 | 3421 — 15,0 | 3521 — 35,0 | 3621 — 75,0 |
| თურქეთი | 3122 — 2,3 | 3222 — 1,3 | 3322 — 3,3 | 3422 — 12,0 | 3522 — 35,0 | 3622 — 75,0 |
| ს.აფრიკა | 3123 — 1,2 | 3223 — 3,1 | 3323 — 7,0 | 3423 — 25,0 | 3523 — 50,0 | 3623 — 100,0 |
| ეკვადორი | 3124 — 1,35 | 3224 — 2,3 | 3324 — 6,0 | 3424 — 20,0 | 3524 — 50,0 | 3624 — 100,0 |
| სლოვენია | 3125 — 1,25 | 3225 — 2,6 | 3325 — 10,0 | 3425 — 25,0 | 3525 — 50,0 | 3625 — 100.0 |
| კორეა | 3126 — 1,35 | 3226 — 2,1 | 3326 — 6,0 | 3426 — 20,0 | 3526 — 50,0 | 3626 — 100,0 |
| აშშ | 3127 — 1,15 | 3227 — 3,5 | 3327 — 10,0 | 3427 — 25,0 | 3527 — 50,0 | 3627 — 100,0 |
| სენეგალი | 3128 — 1,15 | 3228 — 3,5 | 3328 — 10,0 | 3428 — 25,0 | 3528 — 60,0 | 3628 — 150,0 |
| კოსტა რიკა | 3129 — 1,25 | 3229 — 2,6 | 3329 — 12,0 | 3429 — 25,0 | 3529 — 60,0 | 3629 — 150,0 |
| ტუნისი | 3130 — 1,2 | 3230 — 2,8 | 3330 — 15,0 | 3430 — 40,0 | 3530 — 100,0 | 3630 — 250,0 |
| ჩინეთი | 3131 — 1,05 | 3231 — 5,0 | 3331 — 15,0 | 3431 — 40,0 | 3531 — 100,0 | 3631 — 250,0 |
| საუდეთი | 3132 — 1,05 | 3232 — 5,0 | 3332 — 15,0 | 3432 — 40,0 | 3532 — 100,0 | 3632 — 250,0 |


# ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადაბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»




საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58

საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისის ტელეფონებზე:

34-41-84, 34-79-81, 92-38-93

## ბომბარდირი

თანაბარი გოლების შემთხვევაში მოგება გაიცემა მხოლოდ იმ ფეხბურთელზე, რომლის გუნდმაც უკეთესი ადგილი დაიკავა ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში.

**1 ივნისი. 16.30. 4001**

| | |
|---|---|
| ტრეზეგე | 6,0 |
| ვიერი | 6,0 |
| ანრი | 6,0 |
| რონალდო | 6,0 |
| რაული | 8,0 |
| ოუენი | 8,0 |
| კრესპო | 8,0 |
| რივალდო | 10,0 |
| კ. ლოპესი | 15,0 |
| მორიენტესი | 15,0 |
| ბატისტუტა | 15,0 |
| ტრისტანი | 20,0 |
| მონტელა | 20,0 |
| პაულეტა | 25,0 |
| რონალდინიო | 25,0 |
| ტოტი | 25,0 |
| ინძაგი | 25,0 |
| დელ პიერო | 25,0 |
| ფაულერი | 30,0 |
| გომეში | 30,0 |
| ბირჰოფი | 30,0 |
| ბალაკი | 30,0 |
| ზიდანი | 30,0 |
| ლარსონი | 40,0 |
| ოლისადებე | 40,0 |
| პინტუ | 40,0 |
| ნოივილი | 40,0 |
| ედილსონი | 40,0 |
| ბექჰემი | 40,0 |
| ფიგუ | 40,0 |
| ორტეგა | 40,0 |
| ვილტორდი | 50,0 |
| იანკერი | 50,0 |
| მბომა | 50,0 |
| ლუი ენრიკე | 50,0 |
| რეკობა | 50,0 |
| პესკი | 50,0 |
| ბოკშიჩი | 75,0 |
| ვასელი | 75,0 |
| ზაჰოვიჩი | 75,0 |
| ვერონი | 75,0 |
| ჰ. შუქური | 75,0 |
| ნაკატა | 75,0 |

## საუკეთესო ფეხბურთელი

**1 ივნისი. 16.30. 4101**

| | |
|---|---|
| ზიდანი | 5,0 |
| რონალდო | 5,0 |
| ბექჰემი | 5,0 |
| ტოტი | 8,0 |
| ტრეზეგე | 8,0 |
| რივალდო | 8,0 |
| რაული | 10,0 |
| ოუენი | 10,0 |
| ვიერი | 10,0 |
| ფიგუ | 10,0 |
| ანრი | 15,0 |
| ვიეირა | 20,0 |
| კრესპო | 20,0 |
| რონალდინიო | 20,0 |
| ნაკატა | 20,0 |
| ბატისტუტა | 20,0 |
| მონტელა | 30,0 |
| ლუის ენრიკე | 30,0 |
| ვერონი | 30,0 |
| კ. ლოპესი | 30,0 |
| ნესტა | 30,0 |
| დელ პიერო | 30,0 |
| მენდიეტა | 30,0 |
| პაულეტა | 40,0 |
| ბალაკი | 40,0 |
| მორიენტესი | 40,0 |
| სქოულზი | 40,0 |
| ტურამი | 40,0 |
| მბომა | 50,0 |
| ტრისტანი | 50,0 |
| რეკობა | 50,0 |
| რობერტო კარლოსი | 50,0 |
| იერო | 50,0 |
| რუი კოშტა | 50,0 |
| ჩილავერტი | 50,0 |
| კინი | 50,0 |
| ორტეგა | 50,0 |

## რამდენ მატჩში დაინიშნება პენალტების სერია

**15 ივნისი. 11.30. 2401**

| | |
|---|---|
| 00-2 | 2,2 |
| 3-4 | 1,9 |
| 5 ან მეტი | 3,3 |

## რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

**1 ივნისი. 16.30. 3801**

| | |
|---|---|
| ევროპა | 1,4 |
| ამერიკა | 2,4 |
| აფრიკა | 20,0 |
| აზია | 40,0 |


სარბიელი

# სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

# კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დილომი, III მიკრორაიონი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I° კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

რომელი ჯგუფის გუნდი გახდება ჩემპიონი
რომელ ჯგუფში გავა ყველაზე მეტი გოლი,
რამდენი გოლი გავა სულ ჩემპიონატში (ძირითადი დრო)
რომელი გუნდი გაიტანს ყველაზე მეტ გოლს ძირითად დროში
რამდენ გოლს გაიტანს ძირითად დროში ჩემპიონატის მანძილზე
გავა თუ არა მსოფლიო ჩემპიონატზე მატჩის ძირითადი დროის პირველ 2 წუთში (120წამში) გოლი

**იხილეთ ადგილზე**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ბოისას ოცნება გაეზარდა, ოლიმპია კი დაუპატარავდა

## ქართველებმა დრაფტზე ფიქრს უხშირეს

**საქართველოს** ნაკრების ფორვარდი ვლადიმერ ბოისა სეზონის წინ სლოვენიის საკალათბურთო ფლაგმანმა, ლიუბლიანის „ოლიმპიამ" შეკრებაზე მიიწვია. ბოისა მანამდეც ამ გუნდის კუთვნილება იყო, მაგრამ ძირითადში ვერ ხვდებოდა და სხვა კლუბში იყო განათხოვრებული. მაშინ ვოვამ „სარბიელს" უთხრა, ჩემი ოცნება ოლიმპიელობააო... ბოისა „ოლიმპიამ" დაიტოვა, თუმც ქართველი ლეგიონერი ახლაღა თვლის, რომ მისი ოცნება ასრულდა. თუ რატომ, ეს ვოვამ გუშინ გვითხრა, როცა მისი გუნდის სლოვენიის ჩემპიონატის ფინალში გასვლის გამო ლიუბლიანაში შევეხმიანეთ.

**— იოლი იყო „სლოვანის" ნახევარფინალში ძლევა?**

— ტრაბახი არ მინდა, მაგრამ „სლოვანისგან" არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა.

**— იქ მოთამაშე ქართველებზე რას იტყვი?**

— პირველ მატჩში კოტე ტუღუშმა ითამაშა მცირე ხნით, მეორეში კი დავით უგრეხელიძემ. „უგრეს" 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა და იმ შეხვედრაში პირველად გამოჩნდა მოედანზე. ქართველებმა, ისევე როგორც დანარჩენმა სლოვანელებმა, ბოლომდე იბრძოლეს, მაგარმ საბოლოოდ ძლიერმა გაიმარჯვა. „სლოვანი" ორჯერვე იოლად დავამარცხეთ და ფინალშიც გავედით.

**— იქ, ალბათ, „კრკას" შეხვდებით...**

— მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ მეორე ნახევარფინალური მატჩი „კრკამ" წააგო და ახლა გადამწყვეტ შეხვედრას გამართავს ლაშკოს „პივოვარნასთან". ისე, ჯობს, „პივოვარნას" ვეთამაშოთ, რადგან ლაშკოელები შედარებით თავდაჭერილი ხალხია, ნოვო მესტოს „კრკას" ქომაგთა უმეტესობა კი ხულიგანია. ამ ქალაქში თამაში ყველას ჭირივით ეჯავრება. ესაა მიზეზი, თორემ ერთსაც დავამარცხებთ და მეორესაც.

**— ერთი სიტყვით, კვლავაც ჩემპიონები ხართ?**

— რა თქმა უნდა. რაც სლოვენიაში დამოუკიდებელი ჩამპიონატი ტარდება, „ოლიმპიამ" მხოლოდ ერთხელ დაკარგა პირველობა, ეს შარშანწინ მოხდა, როცა „კრკა" გაჩემპიონდა. ათი წლის მანძილზე „ოლიმპიამ" ცხრაჯერ გაიმარჯვა ფინალში, ათჯერაც ქვეყნის თასს დაეპატრონა.

**— სეზონის წინ შენი ოცნება ოლიმპიაში თამაში იყო, ახლა კი მასთან ერთად, ალბათ, სლოვენიის ჩემპიონი გახდები.**

— მართლაც ოცნებად მექცა ოლიმპიელობა. მანამდე ხომ 3 წელი ამ გუნდს ვეკუთვნოდი და ერთი მატჩიც არ მეთამაშა. სეზონის დაწყებიდან „ოლიმპიაში" ვარ, მაგრამ ნაღდ ოლიმპიელად თავს ახლაღა ვთვლი. თავიდან მცირე დროით მიწევდა მოედანზე ყოფნა, ამ ბოლოს კი ხშირად ხუთეულში ვიწყებ და დროის ნახევარზე მეტს ვთამაშობ.

**— მიგაჩნია, რომ მთავარ მიზანს მიაღწიე?**

— როცა „ოლიმპიაში" თამაშზე ვოცნებობდი, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მაშინ მეტზე ფიქრი უაზრობა იქნებოდა.

**— ახლა?**

— ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, ნბა-ში ვითამაშო. ცქიტიშვილისა და ფაჩულიას მსგავსად, ჩემი მენეჯერიც მარკ ფლეიშერია, რომლის თანაშემწეს ორი დღის წინ ველაპარაკე. მისი თქმით, თუ მომავალ სეზონშიც ისე სტაბილურად ვითამაშე, როგორც ახლა, დრაფტზში მოხვედრა პრობლემა არ გამიხდება.

**— ესე იგი, „ოლიმპიაში" დარჩები...**

— კონტრაქტით კიდევ ერთი სეზონი ამ გუნდს ვეკუთვნი, მეც ჯერ არ მსურს სხვაგან გადასვლა.

**ირაკლი ბერტაია**



ვლადიმერ ბოისასთვის სლოვენიის ჩემპიონობა დროის ამბავია



ზაზა ფაჩულია „ულქერს" მოხსნებით შეეშველა

# ტკბილ კლუბს ტკბილი ისტორიები უყვარს

## ზაზა ფაჩულიას მეორე თურქული ოქროს „შანსი" აქვს

**თურქეთში** ჩემპიონის გამოვლენამდე ბევრი არაფერი დარჩა. იქ გაგანია ფინალური სერიაა და საცაა, გასრულდება კიდეც. ოქროს ამჯერადაც სტამბოლური გუნდები — „ულქერი" და „ეფესი" ეცილებიან ერთმანეთს შარშანდელი ფინალი „ულქერის" მოგებითა და შესაბამისად მასში მოთამაშე ქართველი ცენტრის ზაზა ფაჩულიას გაჩემპიონებით დასრულდა და, ცხადია, „ტკბილ კლუბს" არც წლეულს სურს დათმობა.

„ულქერმა" ნახევარფინალში თანაქალაქელი „დარუშაფაკა" 3:1 დაამარცხა, მისი მეტოქე „ეფესი" კი ფინალში შედარებით იოლად გავიდა — ბურსის „ოიაქს" მშრალზე მოუგო. თურქული კალათბურთის ბობოლებმა ფინალური სერია არათანაბარ პირობებში დაიწყეს. ჩვენი მეზობლები რეგულარულ ჩემპიონატისას ურთიერთშეხვედრებში მიღწეულ წარმატებას არა მხოლოდ მოედნის უპირატესობაში გამოხატავენ. უკეთესი გუნდი სერიას 1:0-ით იწყებს. ჰოდა, რეგულარულში „ეფესს" „ულქერი" ორჯერვე დაემარცხებინა და ფინალიც ამ ანგარიშით დაიწყო.

აქედანვე გეტყვით, რომ ამჟამად საერთო ანგარიშია 2:2 და ჩემპიონობა ოთხ მოგებამდეა. „ულქერმა" ორივე გამარჯვება მეზობელ უბანში, „ეფესის" „აბდი იპექჩიში" მოიპოვა, თუმც შინაურ „აჰმედ კომერტში" ვერაფერი გააწყო. ამ სამ შეხვედრაში ზაზა ფაჩულიამ 15 წუთში 3 ქულა მოინაგრა. ქართველ ცენტრს სერიის პირველ მატჩში, რომელიც „ულქერმა" დაძაბულ ბრძოლაში 81:80 მოიგო, არ უთამაშია. მომდევნოში კი 10 წუთი დაჰყო მოედანზე და 3 ქულასთან ერთად 5 მოხსნაც მოაგროვა. სამწუხაროდ, იმ შეხვედრაში „ეფესმა" 89:77 იმძლავრა.

გუშინწინ მურათ დიდინის „ულქერმა" დიდი ანგარიშით, 81:66 დაამარცხა „ეფესი" და იმ თურქ კალათბურთის მცოდნეებსა თუ ჟურნალისტებს, რომლებიც ამ უკანასკნელის სიძლიერესა და იოლად გაჩემპიონებას ქადაგებენ, ენა მუცელში ჩაუგდო. ასეთები კი მრავლად არიან და თავიანთ აზრს იმით ამართლებენ, „ეფესი" ევროლიგასა და თურქეთის ჩემპიონატში უკეთ თამაშობსო. ამ მატჩში ფაჩულია მხოლოდ 5 წუთს გაისარჯა და თითო ორქულიანი და საჯარიმო გააცუდა. თუმც მის თამაშს აუგი არ ეთქმის. ამ მცირე დროში ჩვენებურმა ფარიდან 7 ბურთის მოხსნა მოახერხა და ამ მაჩვენებლით თავის გუნდიდან მხოლოდ ერთს, 35 წუთს ნათამაშევ კვადრე ლოლისს ჩამორჩა.

მომდევნო შეხვერას „ულქერი" კვირას შინ გამართავს და თუ გაიმარჯვებს, გასვლით მატჩში მოგებაც და ჩემპიონია. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ შარშანაც ასე იყო: ფაჩულიას გუნდმა შინ 3:2 დაწინაურების შემდეგ სტუმრად იმარჯვა და იჩემპიონა... ისტორია კი ხშირად მეორდება.

**ირაკლი ბერტაია**


საქართველოს კალათბურთის ფედერაცია

8 ივნისი. სპორტის სასახლე. 18 საათი

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორის

ნიკოლოზ დერიუგინის ბენეფისი

დიდ ქართველ კალათბურთელს სპორტიდან გააცილებენ:

ევროკალათბურთის ვარსკვლავები

შარუნას მარჩულიონისი
ალექსანდრ ვოლკოვი
რიმას კურტინაიტისი
ალექსანდრ სალნიკოვი
იგორს მიგლინიეკსი
ვლადიმირ ტკაჩენკო
ვალერი მილოსერდოვი
სერგეი ტარაკანოვი
სერგეიუს იოვაიშა
ვალდის ვალტერსი
ხოსე ბირიუკოვი
ჰეინო ენდენი

ქართული ესტრადის ვარსკვლავები

უცნობი, მერაბ სეფაშვილი,
თემურ თათარაშვილი, დათო გომართელი,
გოგოლა კალანდაძე, კრისტინა,
ქართული ნაციონალური ბალეტი და სხვები...

შოუს გაუძღვებიან: კოტე მახარაძე,
დუტა სხირტლაძე, მალხაზ ქვრივიშვილი



შოუ გაიმართება საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ახალი მემარჯვენეების და „საქართველოს ბანკის" თანადგომით

## ჯირო 2002

# პასო კოი: სიკვდილის აღმართი


REUTERS ფოტოარქივიდან

პაოლო სავოლდელი ახალმორგებული ლიდერის მაისურით

| 30 მაისი. მე-17 ეტაპი |
|---|
| კორვარა — ფოლარია (222კმ) |
| 1. პაველ ტონკოვი (რუსეთი, ლამპრე) 7 საათი, 27 წუთი, 57 წამი |
| 2. პაოლო სავოლდელი (იტალია, ინდექსი) + 2 წუთი, 11 წამი |
| 3. ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, ლამპრე) + 3 წუთი, 8 წამი |

თუ ვინმესთვის გავიმეტებდი ლიდერის ვარდისფერ მაისურას, სწორედ ის იყო — იტალიელი პაოლო სავოლდელი.

მე, ცხადია, არავინ მეკითხება ფერად-ფერადი მაისურების ჩამორიგებას, მაგრამ კეთილისმსურველების სიმრავლეს არა მგონია, ვინმესთვის ზიანი მოეტანოს. კეთილისმსურველები კი მხოლოდ კეთილი საქმეებით, კაიკაცობით შეიძლება იშოვნო.

იმ დღეს პასო კოის 19-კილომეტრიან აღმართზე ბევრი ოცნება დაიმსხვრა. იტალიურმა ალპებმა კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, ერთი მოქნევით მოსრა მრავალი სახელიანი თუ უსახელო, მრავალს გადაუწურა საბოლოოდ იმედი, ხელის გაწვდენაზე რომ ეგონათ, სადღაც ცხრა მთას იქით გადაკარგა აგრე ნანატრი დაფნის გვირგვინები.

ასე იცის იტალიურმა ალპებმა. ეტაპი ეტაპს მისდევს, თავს მშვენივრად გრძნობ, ხან პირველი ხარ, ხანაც ლიდერთა ჯგუფში, ვარდისფერი მაისურაც უკვე აღარ გეხამუშება და უცებ... სხეულში ტყვია ჩაგეღვრება, მუხლები ბამბასავით გიხდება, გული ყელში გაქვს გაჩხერილი... მორჩა! აღარაფერი გინდა, ერთი სული გაქვს, როგორმე დასრულდეს ეს წყეული აღმართი...

ასეთ, ან დაახლოებით ასეთ დღეში ჩაყარა ჯირო დ იტალიის სულ უკანასკნელმა, 19-კილომეტრიანმა აღმართმა ორი მშვენიერი ველოსიპედისტი, მრავალდღიანის ორი ლიდერი, ავსტრალიელი კადელ ევანსი და იტალიელი დარიო ფრიგო.

ეს ყველაფერი პასო კოის შუაწელზე მოხდა. მანამდე ლიდერები ჯგუფად, საკმაოდ მშვიდად მიუყვებოდნენ აღმართს. ევანსი, ფრიგო, ჰამილტონი, კაუჩოლი და სავოლდელი ერთიმეორის კონტროლით იყვნენ გართულნი და, ცხადია, ყურადღება არ მიუქცევიათ უფრო ადრე გაქცეული მექსიკელი ხულიო კუაპიოსა და რუსი პაველ ტონკოვისთვის, რადგან საერთო ჩათვლაში ისინი საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ ამ ხუთეულს.

ჯგუფს მოწყვეტა პირველად ამერიკელმა ჰამილტონმა სცადა. თუმცა მალევე — სულ რაღაც ორასიოდე მეტრზე — გაირკვა, რომ ჰამილტონს საამისოდ ძალა არ ეყოფოდა. მას უმალ წამოეწივნენ ევანსი და დანარჩენები. მერე კი დატრიალდა ის, რაც ასე ხშირია მრავალდღიან ველორბოლებში — პირველი ფრიგოს გასძვრა ყინწი. ოდნავ წინ გავუსწრებ მოვლენებს და ბარემ აქვე ვიტყვი: ბოლო ორი კილომეტრი ველოსიპედზე ჩვარივით გადაკიდებული ფრიგო პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც გზის აქეთ-იქით ჩარიგებულმა ველოსპორტის ათასობით ქომაგმა აატანა ფინიშამდე.

მალე ფრიგოს სხვებიც მიჰყვნენ. ენა გადმოაგდო ევანსმაც. ჰამილტონიც შეეგუა ბედს. გამოწვევა კი სიკვდილის მთას ტინკოვისა და კუაპიოს გარდა მხოლოდ სავოლდელიმ გადაუგდო.

აი, ამ იტალიელი ბიჭისთვის ნამდვილად გავიმეტებდი ვარდისფერ მაისურას...

...მას შემდეგ სამი წელიწადი გავიდა. იმ ჯიროს მე-19 ეტაპამდე იტალიელთა კერპი მარკო პანტანი ლიდერობდა და ფაქტობრივად მოგებულიც ჰქონდა სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება, რომ უცებ ყველასთვის მოულოდნელად კომისიამ რბოლიდან მოხსნა — აქაოდა, შენი ჯანმრთელობისთვის ვზრუნავთ, სისხლი დასაშვებზე მეტად გაქვს შესქელებულიო. მკითხველს შევახსენებ, რომ მარკო პანტანის წინა წელს მოგებული ჰქონდა ჯიროცა და ტურ დე ფრანსიც. ეს ისეთი შედეგია, რომელსაც ველოსპორტის მთელი ისტორიის მანძილზე სულ რამდენიმე სპორტსმენმა მიაღწია. მოკლედ, პანტანი მოხსნეს და ლიდერის ვარდისფერი მაისურა მომდევნო, თუ არ ვცდები, მეცხრამეტე ეტაპზე, მანამდე მეორე ადგილზე მყოფ პაოლო სავოლდელის უნდა ჩაეცვა. ისე დაიწყო და დასრულა ის ავადსახსენებელი მეცხრამეტე ეტაპი, რომ არც ერთ კომენტატორს ვარდისფერი მაისურა ერთხელაც არ უხსენებია, და სულ უბრალო მიზეზის გამო — ნებისმიერი ველოსიპედისტისთვის სანუკვარი ლიდერის მაისურა იმ დღეს არავის ეცვა. ეს იყო იტალიელი ბიჭის კაცური პროტესტი.

მართალია, სამი წლის შემდეგ, მაგრამ სავოლდელი მაინც გამოეწყო ლიდერის მაისურაში. ძალიან მინდა, რომ ამ საოცრად რთულ ეტაპზე მოპოვებული უპირატესობა საკმარისი გამოდგეს ჯიროს მოსაგებად.

ამ ბიჭზე ნამდვილად ალალია!

**ირაკლი ბერიაშვილი**

| 31 მაისი. მე-18 ეტაპი |
|---|
| როვერეტო — ბრეშა (143კმ) |
| 1. მარიო ჩიპოლინი (იტალია, აკუა საპონე) 4 საათი, 12 წუთი, 44 წამი |
| 2. ალესანდრო პეტაჩი (იტალია, ფასა ბორტოლო) |
| 3. რენე ჰასელბახერი (ავსტრია, გეროლშტეინერი) |
| ორივეს იგივე დრო |

| საერთო ჩათვლა |
|---|
| 1. პაოლო სავოლდელი (იტალია, ინდექსი) 84 საათი, 49 წუთი, 55 წამი |
| 2. პიეტრო კაუჩოლი (იტალია, ალესიო) + 55 წამი |
| 3. ტაილერ ჰამილტონი (აშშ, სიესსი) +1 წუთი, 28 წამი |

# ბებერი მეკობრე საქმეზე არ მიჰყავთ

## დაღლილი ტანი, ნატკენი გული, ამაყი სული: მარკო პანტანი ექიმთან მიდის



**წლევანდელი** ჯიროს მე-16 ეტაპის ნახევარიც არ ჰქონდა ნარბოლი იტალიელ მარკო პანტანის, გულამოვარდნილი ველოდან რომ ჩამოქვეითდა და ფინიშამდე მანქანით მივიდა. არადა, „მეკობრედ“ ცნობილი პანტანი მთების „მეფედ“ ითვლება და ზემოთ ხსენებული ეტაპიც სწორედ სამთო გახლდათ.

ცხადია, ეს ამბავი დიდად სალაპარაკო შეიქნა და პანტანიმ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

„ახლა ბრონქები მაწუხებს. რბოლის დროს სუნთქვა მიჭირს და ძველებურად ველარ ვატრიალებს პედლებს. ჯირომდე თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მე-5 ეტაპის შემდეგ ძალიან გამიჭირდა. ჯიროს თავს ვანებებ და მკურნალობას ვიწყებ“ — თქვა სამშობლოში გმირად შერაცხულმა პანტანიმ, ვინც სამი წლის წინ ტურ დე ფრანსი და ჯირო მოიგო.

32 წლის პანტანი ჯიროს საერთო ჩათვლაში 75-ე იყო და ლიდერს 59 წუთით ჩამორჩებოდა. მისი გუნდის „მერკატონე უნოს“ უფროსობამ იგი სატურდეფრანსო განაცხადში არ შეიყვანა, რამაც პანტანის ველორბოლიდან წასვლა აფიქრებინა. „კიდევ შემიძლია ტიტულების მოგება, მაგრამ, ვიცი, ჩემს მომავალს ეჭვით უყურებენ. არც ის მინდა, შუა ტრასაზე არაქათგამოცლილი ვინმემ წამომაყენოს. ერთი სიტყვით, ვიმკურნალებ და მერე გადავწყვეტ, წავიდე თუ არა“.

სანამ პანტანი მკურნალობას დაიწყებს, მანამდე იტალიის ველორბოლის ფედერაციასთან მოუწევს თავის მართლება. მას შარშან ერთ-ერთი სადოპინგო რეიდისას აკრძალული პრეპარატით, ინსულინით სავსე შპრიცი უპოვეს. სანამ გამოძიება არ დასრულებულა, პანტინის რბოლის ნება დართეს. საქმის მოსმენა კი 7 ივნისსაა დანიშნული.

**ბაჩო სვანიძე**



# ქართველებმა ოქროს ქვიშებზე რუსული შხაპი მიიღეს

ბიბლიოთეკა


ეკატერინა კოვალევსკაია

2 500 სარეიტინგო ქულის პატრონი ალისა გალიამოვათი იწყება და სულ უქულო თურქი მოჭადრაკე მანდილოსნებით სრულდება ის გრძელი სია (114 გვარსახელი), რომელშიც ევროპელ ქალთა მე-3 ჩემპიონატის მონაწილეებია ჩამოთვლილი. ამდენი მოჭადრაკე, მათი მწვრთნელები და დელეგაციათა წევრები ვარნაში შეგროვდნენ, სადაც მშვენიერი დღეები იწყება თავისი ოქროს ქვიშებით და სხვა რამეებით.

ქართველი ოთხია: ნინო ხურციძე, ქეთევან არახამია-გრანტი, მაია ლომინეიშვილი და ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი. ტრადიციულად არიან ქვეყნის რუსები (სულ — 18) და ევროპის შარშანწინდელი ჩემპიონი უკრაინიდან, ნატალია ჟუკოვა. მოქმედი ჩემპიონი, მოლდოველი ალმირა სკრიაჩენკო-ლოტიე კი სიაში არ აღმოჩნდა.

პარტიები რიგიან სასტუმრო „მარინაში“ იმართება, ხოლო საპრიზო ფონდი ისეთი ღარიბია, როგორც თანამედროვე ქალთა ჭადრაკს შეჰფერის. ბულგარეთის მავანმა ტურისტულმა ფირმამ 28 ათასი ევრო გაიღო, საიდანაც გამარჯვებულს 5 200 შეხვდება. ამასთან, ყოველი მონაწილე 100 შვეიცარიულ ფრანკს უნდა შეელიოს.

დროის კონტროლი ფიდესეულია, საათნახევარი პარტიის დასამთავრებლად სვლაზე 30 წამის დამატებით, სისტემა შვეიცარიული გახლავთ და 11 ტურს მოიცავს, რომელთაგან 4 უკვე შედგა და დანარჩენები 9 ივნისამდე უნდა მოესწროს.

ნონა გაფრინდაშვილმა უკვე მოგების გემოც გასინჯა, წაგებისაც და ყაიმისაც. ორი ტურის ქულათა მაქსიმუმი ჰქონდათ ლომინეიშვილს და ხურციძეს, მაგრამ ქართველთა რისხვად რუსი ფავორიტთაგანი ეკატერინა კოვალევსკაია იქცა, რომელიც რეიტინგულად ჩემპიონატის მე-2 ნომერია. კოვალევსკაიამ რიგრიგობით მოუგო ლომინეიშვილს და ხურციძეს, რამაც 4 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით ცხრილის თავში მოაქცია. მისი ამხანაგია ბულგარელი ანტუანეტა სტეფანოვა, ხოლო კიდევ 4 მოჭადრაკე მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება. 3-ქულიანთა მოზრდილ კოჰორტაში ურევიან ხურციძე, ლომინეიშვილი და არახამია-გრანტი, რომელსაც ვარნაში ჯერ პარტია არ წაუგია.

შვეიცარიული სისტემა „ტურ დე ფრანსის“ სპრინტერულ ეტაპებს წააგავს, სადაც თითქმის ყველაფერი ფინიშზე წყდება. ჩვენც ფინიშს დაველოდოთ.

**დავით გულუა**

| ვითარება 4 ტურის შემდეგ |
|---|
| 1-2. ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი), ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 4; 3-6. ელენა სედინი (იტალია), ლილიტ მკრტჩიანი (სომხეთი), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), ჟაოკინ პენკი (პოლანდია) 3,5 |

# მალადეც, სერგოჯან!

## თბილისელ სომეხს კასპაროვმა ტყუილად უკბინა


სერგეი მოვსესიანი

**კატეგორიით** და ვარსკვლავებით შარშანდელზე ღარიბი „ბოსნა 2002“ დასრულდა. სარაევოს მე-16 კატეგორიის ტურნირის მთავარი ფიგურა რიგელი ემიგრანტი ალექსეი შიროვი გახლდათ, მაგრამ დასკვნით ტურში (რიგით მე-9 რომ იყო) საქმე ისე წავიდა, სულ სხვა ემიგრანტს ერგო გმირობაც და პირველი საპრიზო ადგილი თავის პრემიებით.

სერგეი მოვსესიანი თბილისში დაიბადა, საბჭოთა კავშირის დაქცევამდე აქ ცხოვრობდა და შემდეგ ჩეხეთის მოქალაქე გახდა, სადაც უმალ იქცა ქვეყნის პირველ მოჭადრაკედ და პლანეტის მასშტაბითაც იგი პატივსაცემი დიდოსტატია. როცა ლას ვეგასში ფიდე-ს მეორე მსოფლიოს ჩემპიონატი შედგა — 3 წლის წინანდელ ამბავს მოგახსენებთ — და მასზე მოვსესიანმა მეტად სიმპათიურად ითამაშა, გარი კასპაროვმა ამრეზით შენიშნა, ეგ და კიდევ ზოგიერთები მოჭადრაკეები კი არა, ტურისტები არიან და ერთხელ რომ გაუვარდათ, „ნოკაუტ სისტემას“ და მის თანმხლებ შემთხვევითობებს უმადლონ. ცხადია, კასპაროვი არ იყო მართალი, მანამ და უფრო შემდგომ წლებში მოვსესიანის სატურნირო კალოობანი საკმაოდ ბარაქიანი გახლდათ, რამაც მისი ელო-კოეფიციენტი დღეისთვის 2624 ქულას გაუტოლა.

სარაევოში სომეხი თავიდანვე მძლავრად ათამაშდა, სამი პარტია ზედიზედ მოიგო, მაგრამ მე-5 ტურში წკიპურტი იწვნია ბულგარელ კირილ გეორგიევისგან, რომელიც ბულგარელი უკვე აღარ ყოფილა მაკედონიის მოქალაქეობის მიღების გამო. შემდეგ მოვსესიანმა სტაბილური თამაში მოახერხა და სამი ყაიმის შემდეგ ბოლო ტურიც დაუდგა. ტურნირის ცხრილის თანახმად, ლიდერობდნენ მოვსესიანი და შიროვი და ისინივე ხვდებოდნენ ერთმანეთს — დიდი ინტრიგა შეიქმნა.

ფავორიტი შიროვი იყო, რეიტინგლისტში 80 ქულით წინ ყოფნისა და თეთრი ფიგურების ყოლის გამო, მაგრამ ესპანეთის ნიჭიერმა მოქალაქემ საქმეს ზედმეტად თავხედურად შეხედა და წააგო.

კომენტატორები აღნიშნავენ, რომ შიროვს მცირე საფუძველი ჰქონდა დასაწყისშივე მხედრის შეწირვისთვის. ამას მოჰყვა ხარისხის დათმობა და ამდენ თავდადებულ მებრძოლს რომ ასე უპრაგონოდ გაწირავ, იდეისთვის ობივატელმა (ამ შემთხვევაში — პაიკებმა) იბრძოლოს თუ? თან შიროვის პაიკები თავიანთი სისუსტით სიბრალულს იწვევდნენ, როგორც ყველა პაიკი, რომელიც კოლეგასთან გადაბმული არ არის და ჭირისუფალი არ ჰყავს.

მოკლედ, ენდშპილში მოვსესიანის ეტლები თეთრი პაიკების ხოცვით კარგად გაერთნენ და შიროვი დანებდა. გაირკვა, რომ მას მე-2 ადგილიც დაუკარგავს, რომელიც ისევ და ისევ ემიგრანტმა ივან სოკოლოვმა ჩაბღუჯა.

**დავით გულუა**

| საბოლოო ცხრილი |
|---|
| 1. სერგეი მოვსესიანი (ჩეხეთი) 6; 2. ივან სოკოლოვი (ბოსნია — ჰერცეგოვინა) 5,5; 3-6. ილია სმირინი (ისრაელი), ალექსეი შიროვი (ესპანეთი), ალექსეი დრეევი (რუსეთი), თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) 5; 7. კირილ გეორგიევი (მაკედონია) 4,5; 8-9. ბოიან კურაიცა (ბოსნია — ჰერცეგოვინა), ემირ დიზდარევიჩი (ბოსნია — ჰერცეგოვინა) 3,5; 10. ზდენკო კოჟული (ხორვატია) 2 |

როლან გაროსი 2002

საფრანგეთის ღია პირველობა

პარიზი. თიხნარი. საპრიზო 12 234 850 ევრო

# კაპრიატიმ საკუთარ ტვინში ჩაიხედა: ნუ შემჭამეთ, გავიხდი!



მარი პირსი



REUTERS

ჯენიფერ კაპრიატი



REUTERS

ელენა დოკიჩი

**საშინელი** ჩაწოდების, ხშირად გაცუდებული დარტყმებისა და — საერთოდაც — ერთობ არადამაჯერებელი თამაშის მიუხედავად, როლან გაროსის შარშანდელმა ჩემპიონმა ქალმა ჯენიფერ კაპრიატიმ მაინც მოახერხა, თვისტომ ემი ფრეზერს მიღმა მესამე წრეში გამძვრალიყო 6:4, 6:3.

ჯენიმ 39 უნებლიე შეცდომა დაუშვა და მსოფლიოში რანგით 61-ე ჩოგნის მქნეველ მეტოქეს 16 (!) ბრეიკპოინტი უფეშქაშა. ბედი მისი, რომ ეს უკანასკნელი მასზე უფრო ხელმრუდედ თამაშობდა, თორემ ქალთა ტურნირს პირველ ნომრად განთესილი უნდა მოესაკლისა.

წინა დღეებში წვიმიანობის გამო კარგად ვერ მოვემზადეთო, იმართლებდა თავს მერე ჯენი, რაც შეეხება ჩემს ჩაწოდებას, მართალია, ზოგჯერ მოისუსტებს, მაგრამ ჯამში მაინც კმაყოფილი ვარო. „მოკლედ — ყველაფერი კარგად იქნება. ერთადერთი, ტვინში რაღაც-რაღაცები უნდა გადაკეტო და მთლიანად შენს საქმეზე გადაერთო“ — უთქვამს სულ ბოლოს.

ნეტავ, რა აწუხებს ჯენის ისეთი, რის გამოკეტვაც სურს თავის ფსიქოსაკუჭნაოში?! ზიგმუნდ ფროიდს თუ ვერწმუნებით, იქ ჩაკეტვას ვერაფერი გუობს და, ემანდ ჯენიმაც — ბოლო ხუთი სლემტურნირიდან სამი რომ მოუგია — უდროო დროს არ აურიოს...

ეგ ისე, ლირიკულ გადახვევად, თორემ ფრეზერს იგი უკვე მეოთხედ შეხვდა და ოთხივეჯერ სძლია. ახლა მას ავსტრალიელ ევი დომინიკოვიჩთან შეხლა მოუწევს, რომელიც რანგით 111-ეა და მეორე წრეში ეშხიან ინდონეზიელ ანჯელიკ ვიჯაჯას გაუსწორდა.

კაპრიატის დარად განსაკუთრებით შთამბეჭდავად იმ დღეს არც ანდრე აგასის უთამაშია — უფრო სწორად, თუკი ვიეთნი ამბობენ, რომ აგასიმ უარესად ითამაშა, ვიეთნი დასძენენ, შედარებით უკეთესადო. ფაქტი კი ერთია — მისმა ესპანელმა მეტოქე დავიდ სანჩესმა მესამე სეტის მერე ფეხებზე ალმუთუნებულ ბებერებს ველარ გაუძლო და მატჩის ბედი არმენოამერიკელს დროზე ადრე ჩააბარა 6:4, 2:6, 1:6.

„სამი სეტი სამი სეტია — მსჯელობდა აგასი — მართალია, ეს სრული გამოცდა არ არის, მაგრამ თავს უამგამოცდოლდაც კარგად ვგრძნობ და არაფრის მეშინია“.

როლან გაროსის 1999 წლის ჩემპიონს, ვინძლო, არც მეორე ესპანელის, ტომი რობრედოსი შეეშინდეს, ვისთანაც სამესამწრეო შეხვედრა მოელის.

ისე კი — მსხვილი დანაკარგის გარეშე არც ამ მეოთხე დღეს ჩაუვლია. საკუთარმა უჯიგრო თამაშმა და კიდევ ბელგიელი ქსავიე მალისის ფხიანმა გარჯამ ტურნირზე უფრო მეტხანს ბოგინის საშუალება მეექვსე ნომრად განთესილ ბრიტანელ ტიმ ჰენმანს წაჰგვარა 6:2, 3:6, 7:6 (7:4), 6:3.

სამგზის უიმბლდონის ნახევარფინალისტი ჰენმანი, ვისთვისაც თიხნარი არასოდეს წარმოადგენდა განსაკუთრებული ლტოლვის საგანს, პარიზულ სეფეთიხნარზე მესამე წრეს ვერასოდეს გასცილებოდა. საკუთრივ მალისისგან კი იგი შარშან აშშ-ის ღია პირველობაზე, დაძაბულ 5-სეტიან განდაგანაშიც ძლეულიყო.

ამ დამარცხებას, სხვათა შორის, კიდევ ერთი საფუძველიც ჰქონდა — ზედ მაშინდელ საფლეშინგმედოუზო პაექრობამდე ბელგიელის გაწვრთნა ჰენმანის დიდი ხნის დამრიგებელმა, დავიდ ფელგეიტმა იკისრა. მართალია, ეს მუხთალი კაცი ამჯერად თამაშგარე იყო, მაგრამ, ჩანს, მისმა მაშინდელმა ნარჩევმა მალისი დღევანდლამდე გამოკვება.

ძალიან, ძალიან იმედგაცრუებული ვარო — იახლა ნამატჩევს — თავს იმით თუ ვინუგეშებ, რომ წლეულს უფრო კარგი სათიხნარე სეზონი მქონდა, ვიდრე ოდესმეო. ალბათ იმას თუ გულისხმობდა, რომ აპრილში მონტე კარლოს მასტერსტურნირზე ნახევარფინალამდე იჩოგნავა...

იმ დღეს კვლავ დამატყვევებლად ხორცსავსე და შემზარავად მოხათქუნე იყო კამერუნელ ფეხბურთელთა ფორმაში გამოშხვართული სერენა უილიამსი, ვინაც მადაგასკარელ დალი რანდრიატეფის გადაუარა — 6:2, 6:3. რადგანაც საჩოგნეთის ქომაგობა მის თამაშზე მეტად მისი ამ გოიმური ყვითელი გრძელწინდებისა და ყოვლად უგვანი მწვანე ვითომკაბის შესახებ ლადაობს, სერენამ ნამატჩევს ჰალალად აღიარა: ფინალამდე აუცილებლად გავიხდიო.

თუმცა გაალწევს თუ არა ფინალამდე, ეგ ჯერ კიდევ არავინ იცის და მეორეც — მერე რომ სენეგალელთა სამოსში გამოდღლეზა მოინდომოს?

ლამის ერთადერთი მეჩოგნე ქალი, ვის ნახვასაც ქომაგი ალბათ რაგინდარა ჭილოფშიც აიტანს, მომხიბლავი იუგგოგო ელენა დოკიჩი გახლავთ, რომელიც ტურნირზე მეშვიდე ჩოგანს აქნევს და მეორე წრეში ოდინდელ მეუიმბლდონე კონჩიტა მარტინესს გაუსწორდა 3:6, 7:6 (9:7), 6:2.

სექსელენა და კონჩიტა ერთმანეთს 9-ჯერ შეხვედრიან და, თუკი პირველი ხუთი ესპანელს მოეგო, მომდევნო ოთხში ნიადაგ 19 წლის იუგი იმარჯვებს.

ისევ იხეირა წინა წრეში უეცრად შეგრიპებული ჟუსტინ ენენის მოულოდნელმა მარბიელმა ანიკო კაპროშმა. უნგრელ მუშაითთა ამ ნიჭიერმა ნაშიერმა ამჯერად ადგილობრივთა ერთ-ერთი ჯილა, ვირჟინი რაზანი აოტა — 6:7 (3:7), 7:6 (7:1), 6:2.

სხვაფრივ — განთესილ ქალთაგან ჩოგნები დააშალითეს ავსტრიელმა ბარბარა შეტმა (16), შარშან ვინუს უილიამსის პირველი წრიდან გამბუნძულებელმა, ვისაც კისერი ამერიკელმა ჩანდა რუბინმა მოუგრიხა 5:7, 6:3, 7:5; იაპონელმა აი სუგიამამ (26) — იგი სლოვაკ ჟანეტ ჰუსაროვას დამორჩილდა 2:6, 6:1, 2:6 და ესპანელმა კრისტინა ტორენს ვალერომ (32), ვინც მასპინძელთა გასახარად მარი პირსმა მოთელა — 6:3, 6:1.

ახლა კაცებს რაც შეეხება:

სანამ გავარდნილ განთესილებზე ვიტყოდეთ, უპრიანი იქნებოდა, ორიოდე სიტყვა მარატ საფინისა (2) და ხუან კარლოს ფერეროს (11) 5-5 სეტიან შეხვედრებზე გვეთქვა.

მასზე ბარე ორი თავით დაბალი ბელგიელი ოლივიე როშუ რუსმა გოლიათმა მხოლოდ მეხუთე სეტში გატეხა — 4:6, 6:2, 3:6, 6:3, 6:3. გეხსომებათ, წინა კვირის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, სადაც რუსები არგენტინელებს ხვდებოდნენ, მარატ საფინს თავისი წილი მატჩის მიტოვება ზურგის ტრავმის გამო მოუხდა. იქნებ ამიტომაც იყო, ტანმორჩილი როშუს წინააღმდეგ ასე უილაჯოდ რომ გამოიყურებოდა და ფონს გასვლა ლამის მხოლოდ შოლტივით ეისების წყალობით შეძლო (15:0).

რაც შეეხება ფერეროს, ფრანგ კუტელოსთან შეყრამდე ერთი დღით ადრე მუხლი დაიშავა და მისი კორტზე გამოსვლა საერთოდაც იეჭვებოდა. მაგრამ ჰოსპიტალში ხანმოკლე შეზელვების შემდეგ წლევანდელ მონტეკარლოს მაოხარსა და წინა ორი წლის როლან გაროსის ნახევარფინალისტს მყესები დაუამდა და ისე კაცურად გაირჯა, რომ კუტელომ, ეგ ყველაფერი სიაფანდიაო, ნამატჩევს ეგრე იძახდა.

„აბა, როგორ დავიჯერო — ამბობდა იგი — როცა დღეს იმაზე სწრაფად დარბოდა, ვიდრე ორი დღის წინ და ტრავმირებულობის საერთოდაც არაფერი ეტყობოდა“.

გავარდნით კი — ტაილანდელმა პარადორნ შრიჩაფანმა ტომას ენკვისტი (19) გააძევა 6:4, 1:6, 7:5, 6:3, ფრანგმა პოლ-ანრი მატიომ — სახელიანი თვისტომი ფაბრის სანტორო (23) 7:5, 6:1, 1:6, 6:4, ხოლო ბასრმა არგენტინელმა გილერმო კორიამ — გერმანელი რაინერ შუტლერი (24) 6:4, 6:2, 6:3.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS

ოლივიე როშუს მოსარევად მარატ საფინს გვარიანი რბენა და ოფლისღვრა დასჭირდა

**31 მაისი**

**ვაჟები**

მესამე წრე

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — სხენგ შალკენი (30, ჰოლანდია) 6:1, 7:5, 6:7 (3:7), 6:1; **ტომი ჰაასი** (3, გერმანია) — იარკო ნიემინემი (ფინეთი) 6:3, 7:5, 2:6, 6:4; **გუსტავო კუერტენი** (7, ბრაზილია) — ერნანდო გონსალესი (ჩილე) 6:3, 2:6, 7:6 (8:6), 6:4; **ალბერტო კოსტა** (20, ესპანეთი) — ანდრია გაუდენცი (იტალია) 7:6 (7:2), 6:1, 7:5; **გილერმო კანასი** (15, არგენტინა) — კარლოს მოია (17, ესპანეთი) 4:6, 7:6 (7:1), 6:7 (2:7), 6:1, 6:2; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 4:6, 6:3, 6:4, 6:3; **ანდრეი პაველი** (22, რუმინეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:1, 1:6, 6:4, 6:3

**ქალები**

მესამე წრე

**ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — რიტა გრანდე (34, იტალია) 6:1, 6:4; **კლარისა ფერნანდესი** (არგენტინა) — კიმ კლაისტერსი (4, ბელგია) 6:4, 6:0; **მონიკა სელეში** (6, აშშ) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (11, სლოვაკეთი) — ტატიანა პანოვა (18, რუსეთი) 6:3, 6:1; **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — ნატალი ბეში (საფრანგეთი) 6:4, 4:6, 7:5; **ჩანდა რუბინი** (აშშ) — ანე კრემერი (23, ლუქსემბურგი) 6:1, 6:0; **ელენა დემენტიევა** (13, რუსეთი) — როსანა ნეფა-დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:3, 6:0; **ამელი მორესმო** (10, საფრანგეთი) — ევა ბესი (ესპანეთი) 6:1, 6:1



REUTERS

კიმ კლაისტერსს სახეზე ეტყობა, რაც შეემთხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS ტოკიოდან

# აჰა, დაიწყო



REUTERS ტოკიოდან

მსოფლიოს თასისთვის ბრძოლა დაიწყო და ნამდვილი გამოცდაც ახლა იწყება კორეელთა მრავალნაცად მწვრთნელ გუს ჰიდინკისთვის. ჩემპიონატის გახსნის დღეს უკანასკნელი სახალხო ვარჯიში გამართა კორეის ეროვნულმა ნაკრებმა. სტუმარი ბევრი იყო, ჩვილი ბავშვები და მეძუძური ბავშვებიც კი ფეხბურთელებს ეფერებოდნენ. ავტოგრაფი ქუდზე ახალი და მოხდენილი მოდაა და გუსიც მისდევს ამ მოდას.

ბელგიელი მეგოლე ბრანკო სტრუპარი კი იაპონური ქალაქის კუმამოტოს მაღაზიის დახლებს შეჩვევია და იქაური სუვენირების შეძენა განუზრახავს.

ჩინეთი მსოფლიოს ჩემპიონატს ნამდვილად არ მასპინძლობს, მაგრამ ამ ქვეყნის ნაკრები პირველად გავიდა მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე და ამ დღეებში ჩინეთიც ფეხბურთით ცხოვრობს. დედა და შვილი გიგანტურ ბურთთან შემდგარან და დედა იმას თუ უხსნის გოგონას, თუ რა დიდი ამბავი მოხდა.

ამ დროს ჩინეთიდან არცთუ მოშორებით უკვე გულშემატკივრები ლაღობენ. ბრაზილიელები თავიანთი დოლებით დააბიჯებენ ულსანის ქუჩებში და გახურებაღა აკლიათ. მავანი უცხოდ გაკრეჭილ-ნაღები კოლუმბიელი ქომაგი ტოკიოელ პოლიციელებს ეჯღანება. დოლი ინგლისელებსაც უშოვნიათ. ბიჭებს კარგა მიუღიათ და ახლა ამ დოლზე ბრაგუნით დააბოტებენ ტოკიოსავე როპონგის უბანში.



REUTERS გვანჯუდან




REUTERS კუმამოტოდან



REUTERS ულსანიდან




REUTERS შანხაიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge